ᲛᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲒᲣᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

# ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 44-Ე ᲬᲚᲘᲡ № 226 (12738) | ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 27 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1963 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

## ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ

### Ն. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲐ ᲪᲘᲛᲑᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲝᲠᲔᲣᲚᲘ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲛᲐ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲛ Ն. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲛᲐ ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲐ �გᲐᲣᲒᲖᲐᲕᲜᲐ ᲪᲘᲛᲑᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲝᲠᲔᲣᲚᲘ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚᲘ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲗᲐ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ

მისალმებაში ნათქვამია, რომ თავისი შრომითი ტრადიციებისადმი ერთგული კომკავშირი სახელოვან საქმეთა წამომწყებია ჩვენი ქვეყნის სრულიად საკავშირო 160 დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობაზე, რომელთა შორის დიდი ადგილი უკავია ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის მშენებლობებს.

მისალმებაში აღნიშნულია, რომ ახალგაზრდა მშენებლებისათვის ახლა მთავარია მუდმივად იმაღლებდნენ ოსტატობას, სწავლობდნენ პრაქტიკულ მუშაობაში, სრულყოფდნენ წარმოების ორგანიზაციას, პოულობდნენ და უკეთ იყენებდნენ მშენებლობათა რეზერვებს.

პარტია დიდად აფასებს ახალგაზრდობის შეხედულებათა [illegible] მშენებლობებზე. ხალხი სამართლიანად ამაყობს თავისი შვილებით, რომლებიც თავდადებული შრომით სახელს უხვეჭენ ლენინურ კომკავშირს.

მისალმების დასასრულს ამხანაგი Ն. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ ახალგაზრდა მშენებლებს უსურვებს ახალ წარმატებებს, ბედნიერებას პირად ცხოვრებაში, დიდ შრომითს მიღწევებს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვების საკეთილდღეოდ. (საკ. დესი).

# ᲡᲐᲠᲬᲧᲐᲕᲘ ᲛᲘᲬᲔᲑᲘᲡ ᲛᲓᲘᲓᲐᲠᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐᲜᲘ

## ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲘ Ն. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ ᲧᲣᲑᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ

**ᲙᲠᲐᲡᲜᲝᲓᲐᲠᲘ,** 26 სექტემბერი. (პრეს ჯგუფი). მადლიანია ყუბანის მიწა, უხვად უნაზღაურებს შრომას კაცს, თავისი წარმატებებით ყუბანელმა მიწათმოქმედებმა განსაკუთრებით გაგვახარეს წელს. უსტ-ლაბინსკის საწარმოო სამმართველოს მხვნელ-მთესველებმა, რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ სოფლის მშრომელთა სრულიად საკავშირო შეჯიბრებას, ოთხმოცი ათასი ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ თითქმის 40 ცენტნერი მარცვლეული აიღეს. ეს შესანიშნავი შრომითი გამარჯვებაა! ყუბანელები შეუპოვრად იბრძვიან, რათა შეასრულონ სამშობლოს წინაშე ნაკისრი დიდი ვალდებულება. მათ უკვე ჩაბარეს ჩვენი სამშობლოს ბეღლებს 175 მილიონი ფუთი მარცვლეული.

ამ უკანასკნელ წლებში კრასნოდარის მხარის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დიდი მუშაობა გასწიეს მიწების ეფექტიურად გამოყენებისათვის. გააფართოვეს ისეთი ძვირფასი კულტურების ნათესები, როგორიც არის საშემოდგომო ხორბალი, სიმინდი, შაქრის ჭარხალი, ბარდა, გაიზარდა მათი მოსავლიანობა. სულ უფრო ფართოდ ვითარდება საწარფავი მიწათმოქმედება, რომელიც უზრუნველყოფს ბრინჯის, სიმინდისა და სხვა კულტურების უხვ და მყარ მოსავალს. თუ ამ ათი წლის წინათ ძირითად საწარფავ კულტურას — ბრინჯს კრასნოდარის მხარეში 12,8 ათასი ჰექტარი ეკავა, წელს მას 41 ათას ჰექტარზე მეტი უკავია.

ყუბანის მთელ რიგ მეურნეობებში დააგროვეს საწარფავი მიწათმოქმედების მეტად მნიშვნელოვანი გამოცდილება, აქ აღიზარდა ამ საქმის ბევრი კარგი მცოდნე — აგრონომი, ბრიგადირი, მერგოლური, მომრწყავი.

ბრინჯის უხვი მოსავლის უბადლო ოსტატთა სახელი აქვთ მაგალითად, სლავიანსკის საწარმოო სამმართველოს კრასნოარმეისკის საბჭოთა მეურნეობის მუშაკებს. ეს მეურნეობა ყუბანის ქვემოწელშია. აქ, ყოფილ ლია-ლელიან მიწებზე, წლიდან წლამდე ფართოვდება ბრინჯის ნათესები, დიდდება მარცვლეულის მთლიანი მოსავალი.

როგორც ვიუწყებოდით, გუშინ კრასნოარმეისკის საბჭოთა მეურნეობაში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი Ն. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი რსფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ი. ვორონოვი, მათთან ერთად აქ ჩამოვიდნენ პარტიის კრასნოდარის მხარის კომიტეტების პირველი მდივნები: პარტიის კრასნოდარის მხარის სასოფლო სამხარეო კომიტეტისა — გ. ი. ვორობიოვი, სამრეწველო სამხარეო კომიტეტისა — ა. ი. კაჩანოვი, სამხარეო აღმასკომების თავმჯდომარეები ი. ტ. ტრუბილინი, ა. ნ. ჩურკინი.

ახლა ბრინჯის პლანტაციებში გაჩაღებულია მოსავლის აღება. ზოგიერთ ნაკვეთზე მხოლოდ ეს არის ახლა დაიწყეს ბრინჯის მკა და ღვარეულებად აწყობენ, ზოგ ნაკვეთზე კი ბრინჯი უკვე გამოშრა და ლეწავენ. ყველა ძირითადი სამუშაო მექანიზებულია.

მანქანები ყანის პირას ჩერდება. აქ ახალი დაწყებული აქვთ ბრინჯის მკა. ამხანაგი Ն. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ გულთბილად ესალმება მუშებსა და სპეციალისტებს.

— როგორია მოსავალი ამ ნაკვეთში? — კითხულობს ნიკიტა სერგის-ძე.

— 50-55 ცენტნერი მარცვლის გალეწვას ვვარაუდობთ, — ეუბნება საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ა. ი. მაისტრენკო.

— საშუალოდ რამდენის აღებას აპირობს მთელი საბჭოთა მეურნეობა? — ეკითხება Ն. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ.

— დაახლოებით 40-45 ცენტნერის აღებას ვფიქრობთ. — ეუბნება საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

ნიკიტა სერგის-ძემ გამოიკითხა თუ როგორია სხვადასხვა ჯიშის ბრინჯის ვეგეტაციური პერიოდი, მოსავლის აღებამდე რამდენი დღით ადრე გადაუშვებენ ხოლმე ბრინჯის ნაკვეთიდან წყალს, როგორ იყენებენ ბრინჯის ჩალას.

— ბრინჯის ჩალა შესანიშნავი საკვებია პირუტყვისათვის, — შენიშნავს განყოფილების მმართველი, აგრონომი ვ. ე. სვეტლიჩნი.

— ᲮᲝᲠᲑᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲔᲠᲘᲡ ᲜᲐᲛᲯᲐ ᲯᲝᲑᲘᲐ, — უმატებს სლავიანსკის პარტიული კომიტეტის მდივანი ა. ს. ეკტოვი.

ამხანაგი Ն. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ ესაუბრება კომბაინერ იური ზემლიანის და მის თანაშემწეს ვლადიმერ კურიაჩის, საბჭოთა მეურნეობის მუშას კლავდია ფედოროვას, გამოჰკითხა მათ რამდენი გამოვიდა გალეწილი მარცვალი, როგორია მანქანების მწარმოებლობა, რამდენს იღებენ ხელფასს.

მომრწყავი ს. ა. იასტრებოვი, რომელიც ლაფეტა სამკალი მანქანის მემანქანედაც მუშაობს, ამბობს, რომ ჰექტარზე 60 ცენტნერ მარცვალს იღებენ.

— ცუდად არ გქონიათ საქმე, — ამბობს ნიკიტა სერგის-ძე.

არა მარტო იასტრებოვს, არამედ სხვა მომრწყავებსაც — ნ. ფ. ფილს, ტ. ფ. ბელაიას, ა. ა. კოზუბს — მათზე გაპირონვებულ ნაკვეთების თითოეულ ჰექტარზე მოჰყავთ 55-60 ცენტნერი ბრინჯი. საბჭოთა მეურნეობის უფროს მებრინჯეს ტ. ა. პორტნოვს ამ უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში ჰექტარზე მოჰყავს 60-73 ცენტნერი მარცვლეული.

კრასნოარმეისკის საბჭოთა მეურნეობა დიდად რენტაბელური მეურნეობაა. ამ მეურნეობამ 1961 წელს მიიღო 1,6 მილიონზე მეტი, ხოლო 1962 წელს დაახლოებით 2 მილიონი მანეთი მოგება. აქ თითოეული ჰექტარი სახნავი მიწა 400-500 მანეთ შემოსავალს იძლევა. ყველაზე დიდი შემოსავალი ბრინჯს მოაქვს. ცენტნერი ბრინჯის თვითღირებულება 8-9 მანეთია.

მაგრამ საბჭოთა მეურნეობის მებრინჯეებს ყველა შესაძლებლობა აქვთ უფრო იაფად მოიყვანონ ბრინჯი. ამისათვის საჭიროა უკეთ გამოიყენონ მიწა, ისე მოაწყონ შრომა ბრინჯის პლანტაციებში, რომ თითოეულ ნაკვეთს მუდმივი მზრუნველი ჰყავდეს. ამ მხრივ ფართოდ უნდა დაინერგოს მექანიზებული რგოლების შექმნის გამოცდილება. საბჭოთა მეურნეობაში ოთხი რგოლი მუშაობს. რგოლებს სათავეში უდგანან გამოცდილი მექანიზატორი, მებრინჯეები ანატოლი უდალოვი, ივანე ჩაუნი, ნიკოლოზ დოვჩენკო და პავლე ზინოვიევი. რგოლებზე გაპირონვებულია მიწის ნაკვეთები და საჭირო ტექნიკა. პრაქტიკამ ცხადყო შრომის ასეთი ორგანიზაციის დიდი უპირატესობა ბრინჯის მოყვანის საქმეში. პლანტაციაში ახლა მუდმივი მზრუნველია — ეს არის მექანიზებული რგოლი, რომელიც ყველა სამუშაოს ასრულებს ნიადაგის მომზადებიდან დაწყებული და მოსავლის აღებით დამთავრებული.

ნიკიტა სერგის-ძე ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ დაახლოებით ორი საათის განმავლობაში ათვალიერებდა კრასნოარმეისკის საბჭოთა მეურნეობის ყანებს. მანქანები მიდიან ბრინჯისა და სიმინდის ყანების, ვენახების, ბაღების გასწვრივ. ამხანაგი ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ მივიდა ცალკეულ მეურნეობებში, გაეცნო ყანების მორწყვის სისტემას. შემდეგ ცენტრალურ კარმიდამოში გაემგზავრა. აქ კულტურის სახლთან მას გულთბილად შეხვდა მუშებისა და სპეციალისტთა დიდი ჯგუფი.

უხუცესმა მუშაკმა, მჭედელმა ივანე ფეოფანეს-ძე ბოხდარენკომ, ძვირფას სტუმარს. რუსული ჩვეულების მიხედვით პურმარილი მიართვა. ტრადიციული პურის გვერდით ერთი ფინჯანი მოხარშული ბრინჯია. ნიკიტა სერგის-ძემ გემო გაუსინჯა პურსა და ბრინჯს და მასპინძლებს სტუმართმოყვარეობისათვის მადლობა გადაუხადა.

საბჭოთა მეურნეობის კონტორაში Ն. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ ესაუბრა მეურნეობის ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს. საუბარში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე სლავიანსკის საწარმოო სამმართველოს მუშაკებმა.

საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ა. ი. მაისტრენკომ მოკლედ გააშუქა მეურნეობის ეკონომიური მაჩვენებლები. აქ მარცვლეულ კულტურებს 7.616 ჰექტარი უკავია, ანუ მთელი სათესი ფართობის 74,5 პროცენტი. ამათგან 4.549 ჰექტარი ბრინჯს აქვს დათმობილი, 686 ჰექტარი — საშემოდგომო ხორბალს და 700 ჰექტარი — სამარცვლე სიმინდს. საკვებ კულტურებს თესლბრუნვაში 2,5 ათასი ჰექტარი უკავია — ძირითადად მოჰყავთ სასილოსე სიმინდი და შაქრის ჭარხალი.

როგორია კულტურების მოსავლიანობა? წელს საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანა 30,4 ცენტნერი ხორბალი. ბრინჯის მოსავალს ისეთი პირი უჩანს, რომ ჰექტარზე 45 ცენტნერს აიღებენ.

— რა არის საჭირო, რომ გაგიუმჯობესდეთ მოსავალი და ჰექტარზე აიღოთ 60-70 ცენტნერი ბრინჯი? — კითხულობს ამხანაგი Ն. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ.

— უწინარეს ყოვლისა ნაკვეთის რეკონსტრუქცია, მათი გაფართოება და მოსწორება, — უპასუხებს ამხ. მაისტრენკო.

— რამდენი გიჯდებათ ერთი ჰექტარი ლია-ლელიანი მიწის დამუშავება ბრინჯისათვის? — ეკითხება ნიკიტა სერგის-ძე.

— 1.200 მანეთი, — უპასუხებენ სპეციალისტები.

— როგორც ჩანს, მეურნეობა კარგი გაქვთ, — შენიშნავს ნიკიტა სერგის-ძე. — მაგრამ ბრინჯის მოსავალი ვერ არის უხვი. ჰექტარზე 40 ცენტნერი, ისეთი კულტურისათვის, როგორიც ბრინჯია, ბევრი როდია. გაწმენდილი მარცვალი, ხომ უფრო ნაკლები იქნება. 30 პროცენტი ჩენჩო უნდა გამოვაკლოთ. ხომ ასეა?

**ᲮᲛᲐ ᲐᲓᲐᲒᲘᲚᲘᲓᲐᲜ:** სწორია.

— მაშასადამე გაწმენდილი ბრინჯი დაახლოებით 28 ცენტნერი გამოვა, — განაგრძობს ამხანაგი Ն. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ, — ეს ცოტაა. პ. პ. ლუკიანენკოს საშემოდგომო ხორბალი ჰექტარზე 50-60 ცენტნერს იძლევა. მართალია, ბრინჯის ეს მოსავალიც ამართლებს ეკონომიურად თავის თავს, მაგრამ ამან არ უნდა დაგაკმაყოფილოთ. ბრინჯი დიდ შესაძლებლობათა კულტურაა. თქვენ ჰექტარზე 70 ცენტნერი უნდა მოიყვანოთ. ეს 50 ცენტნერი სუფთა მარცვალია.

ნიკიტა სერგის-ძე ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა მოეწყოს ჰერბიციდების წარმოება ბრინჯის ნათესების უბოროტეს სარეველასთან — ბურჩხასთან საბრძოლველად: ასეთი ამოცანა უნდა დავუსახოთ ქიმიკოსებს, თქვა ნიკიტა სერგის-ძემ.

მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს ჯიშების სწორ შერჩევას. ამხანაგ ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ აინტერესებს, თუ რომელი ჯიშის ბრინჯი იძლევა უკეთეს მოსავალს ყუბანში. კრასნოარმეისკის საბჭოთა მეურნეობაში თესავენ ადგილობრივი სელექციის ჯიშებს — „კრასნოდარული-424“ და „ყუბანურა-3“-ის, აგრეთვე შემოტანილს (უზბეკეთიდან) — „უზროს-269“ და „უზროს-275“. ყოველი ამ ჯიშის ძნა გამოფენილია დარბაზში, სადაც საუბარი მიმდინარეობს.

სპეციალისტები მაღალ შეფასებას აძლევენ ჯიშს „უზროს-275“. იგი ცივნადი არ არის, უხვ მოსავალს იძლევა. ერთია ცუდი — მისი ვეგეტაციის პერიოდი 140 დღეს უდრის.

— მაგრამ თუ აპრილში დავთესავთ, — ანგარიშობს ამხ. მაისტრენკო, იგი იხარებს ჩვენში.

ყუბანის ბრინჯის სადგურის დირექტორი ა. პ. სმეტანინი ლაპარაკობს, თუ რაზე მუშაობენ ახლა სელექციონერები, რომელი მაღალპროდუქტიული ჯიშებ ი გამოყვანას ვარაუდობენ წარმოებისათვის.

საუბრის დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მიწის ყველაზე რაციონალურ გამოყენებას. საბჭოთა მეურნეობაში ათვისებული აქვთ ორი ტიპის ბრინჯის თესლბრუნვა: სამმინდვრიანი — ორი ბრინჯის ყანით — და შვიდმინდვრიანი — ოთხი ბრინჯის ყანით. სპეციალისტები უპირატესობას აძლევენ სამმინდვრიან თესლბრუნვას, რომელიც უფრო მდიდარია ძირითადი კულტურით. მისი დანერგვა მოითხოვს მექანიზაციის დონის ამაღლებას, ბევრ ხასუქს, ჰერბიციდებს სარეველებთან საბრძოლველად.

შემდეგ საუბარი შეეხო სიმინდს.

— როგორ მოსავალს იძლევა თქვენში საწარფავი სიმინდი? — დაინტერესდა ამხანაგი ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ.

— ჩვენ სიმინდს მხოლოდ ურწყავ მიწებზე ვთესავთ, — თქვა საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა. — საუკეთესო ნაკვეთებზე ჰიბრიდი „ვირ-156“ 90-116 ცენტნერ მარცვალს იძლევა ტაროიანად.

— ეს კარგია, — შენიშნა Ն. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ.

მაგიდაზე ნიკიტა სერგის-ძეს წინ დაუდეს დიდი, მძიმე ტაროები.

— შესანიშნავი ტაროებია, — მოეწონა Ն. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ. — ეს ისეთია, როგორიც თავის დროზე მარკ ოზერნისთან ვნახე. ძალიანა ჰგავს, მაგრამ იმას კიდევ უფრო დიდი ტაროები ჰქონდა. მერე და რამდენი ტაროა ძირზე?

— საშუალოდ ორი, — უპასუხა მთავარმა აგრონომმა დ. ფ. ბელოგლაზოვმა.

— კარგი სიმინდია, — თქვა ამხანაგმა ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ.

ნიკიტა სერგის-ძეს აინტერესებს შრომის ანაზღაურების სისტემა საბჭოთა მეურნეობაში, ხაზს უსვამს, რომ ადამიანების მატერიალური დაინტერესება მოსავლიანობის გადიდებაში, — განაცხადა ამხ. მაისტრენკომ. — ხანდახან საკმარისია 45 ცენტნერი მარცვალი მიიღო, რათა დამატებითი ხუთი თვის ხელფასი მოგცენ. გამოდის, რომ 70 ცენტნერს მიიღებ თუ 45 ცენტნერს, ანაზღაურება ერთნაირი იქნება.

ამხანაგმა ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელებს ურჩია მოიფიქრონ, თუ უკეთ როგორ დაიინტერესონ მუშები საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებით, შეიმუშაონ შრომის ანაზღაურების უკეთესი სისტემა, წამოაყენონ თავიანთი წინადადებანი. ამასთან საჭიროა ვიანგარიშოთ, თუ რას აძლევს შრომის ანაზღაურების ესა თუ ის სისტემა მუშებსა და სახელმწიფოს. რა თქმა უნდა, აღნიშნა ამხანაგმა ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ, თავიანთი საქმის ისეთი ოსტატების შრომა, როგორებიც არიან ვ. სვეტლიჩნი და ვ. პერვიეცკი, კარგად უნდა ანაზღაურდეს. მათ გვალვიან წელსაც კი უხვი მოსავალი მოჰყავთ. ჩვენ უნდა შევქმნათ მოწინავე გამოცდილების სკოლები, დავაოსტატოთ ადამიანები.

საუბარი დამთავრდა. ნიკიტა სერგის-ძე ყველა მონაწილეს წარმატებას უსურვებს მუშაობაში.

ამხანაგმა Ն. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ კონტორასთან თავმოყრილ მუშებსა და სპეციალისტებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა. მან მიულოცა მიღწეული შედეგები, მოუწოდა, რომ კიდევ უფრო უკეთ იშრომონ, წლითიწლობით გაზარდონ ბრინჯის პლანტაციების მოსავლიანობა.

• • •

ᲢᲘᲛᲘᲐᲖᲔᲕᲘᲡᲙᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ „ᲙᲣᲑᲐᲜᲔᲪᲘ“ განთქმულია როგორც ღორის ხორცის წარმოების ფაბრიკა. შარშან სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ყოველ ას ჰექტარზე აქ 294,8 ცენტნერი ხორცი აწარმოეს. ასეთი მაღალი მაჩვენებლებისათვის კრასნოდარის მხარის არც ერთ მეურნეობას არ მიუღწევია. საბჭოთა მეურნეობაში ყველა დარგი რენტაბელურია. 1962 წელს 124 ათასი მანეთი შემოსავალი მიიღეს.

ეს წარმატებები საბჭოთა მეურნეობის კოლექტივის ბეჯითი შრომის, მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის მისი მეუპოვარი ბრძოლის შედეგია. მეურნეობაში გადასინჯეს ნათესი ფართობების სტრუქტურა, მცირემოსავლიანი კულტურები უხვმოსავლიანი კულტურებით შეცვალეს. წელს 900 ჰექტარ ნათესზე საშუალოდ ჰექტარზე 42,2 ცენტნერი საშემოდგომო ხორბალი მიიღეს.

„ᲙᲣᲑᲐᲜᲔᲪᲘᲡ“ ნერგავენ შრომატევადი პროცესების კომპლექსურ მექანიზაციას, მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში ფართოდ ვრცელდება ყველაფერი ახალი, პროგრესული.

საინტერესოა საბჭოთა მეურნეობის ირიგატორთა გამოცდილება. წელს მორწყვას აწარმოებდნენ 240 ჰექტარზე, სადაც სიმინდი მოჰყავდათ. მოსავლის აღებული ნაწილი კარგ იმედს იძლევა. აქ ჰექტარზე 75 ცენტნერ სიმინდის მარცვალსა და 600 ცენტნერ მწვანე მასას იღებენ. ასეთი მოსავალი არასრული რწყვის პირობებში მოიწიეს. აღსანიშნავია ისიც, რომ საწარფავი სისტემის მშენებლობისა და მისი ექსპლოატაციის ხარჯები დიდი არ არის. მაგალითად, საწარფავი სისტემის აგების ხარჯები ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით 154 მანეთს შეადგენს, ხოლო ერთი ჰექტარის ორჯერ მორწყვის ღირებულება (800 კუბური მეტრი წყალი) 25 მანეთს უდრის. ამის ხარჯზე მოსავალმა იმატა და იგი საშუალოდ ჰექტარზე 42 ცენტნერ სიმინდის მარცვალს უდრის. როგორც წინასწარი გამოანგარიშება გვიჩვენებს, ერთი ცენტნერი მარცვლის თვითღირებულება საწარფავ მიწებზე 1 მანეთსა და 92 კაპიკს შეადგენს, ხოლო ურწყავ მიწებზე — 3 მანეთსა და 36 კაპიკს. რწყვის დამატებითი ხარჯები შედარებით დიდი არ არის, მოგება კი დიდია.

რწყვის სისტემა ძალიან მარტივია. წყალს იღებენ ხელოვნური წყალსაცავებიდან, რომლებიც მდინარე კირპილციზე შექმნეს, სამი ცენტრადანული ტუმბოს საშუალებით. მთავარი მილსადენით წყალს აწვდიან საკვალთიან გამანაწილებელ მილებში და შემდეგ ღია ტიპის დროებით საწარფავებში უშვებენ. იქიდან საწვიმარი დანადგარებით „დდნ-45“ წყალს წრიულად ასხურებენ 90 მეტრის დიამეტრზე.

გუშინ საღამოს ამხანაგები Ն. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ და გ. ი. ᲕᲝᲠᲝᲜᲝᲕᲘ საბჭოთა მეურნეობა „კუბანეცს“ ეწვივნენ. ნიკიტა სერგის-ძე მივიდა მოსავლის ასაღებ აგრეგატთან, გამოელაპარაკა მერგოლურ ალექსი ევტუშენკოს და ტრაქტორისტ გრიგოლ სალნიკოვს. ა. ევტუშენკოს რგოლს სიმინდი მოჰყავს 240 ჰექტარ საწარფავ მიწებზე. ნორჩი ტყესავით აღმართულა ყანა, მაღალი, მძიმეტაროებიანი.

ნიკიტა სერგის-ძე ათვალიერებს „უზბეკური თეთრკბილას“ ჯიშის სიმინდის ნათესებს.

— ამ ნაკვეთზე სათესლე სიმინდი მოგვყავს, — თქვა საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ბ. მ. ᲑᲐᲙᲐᲜᲝᲕᲛᲐ. — გადავწყვიტეთ საკუთარი ვიქონიოთ. გაისად ამ ჯიშს 80 ჰექტარზე დავთესავთ, მოვრწყავთ და სულ ცოტა ხუთი ათას ტონა მწვანე მასას მივიღებთ. ამდენი სილოსის მისაღებად საბჭოთა მეურნეობას 300 ჰექტარი ურწყავი მიწა დასჭირდებოდა.

ამხანაგმა Ն. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲛᲐ დაწვრილებით გამოიკითხა ერთი ჰექტარი ყანის რწყვის ღირებულება, როგორ ხორციელდება რწყვა, როგორია ერთი ცენტნერი სიმინდის მწვანე მასის თვითღირებულება სარწყავ ნაკვეთებზე.

— ჩვენ 600 ცენტნერი მწვანე მასა მივიღეთ ჰექტარზე. ცენტნერის თვითღირებულებაა 33 კაპიკი. ურწყავ მიწებზე თვითღირებულება თითქმის ერთნახევარჯერ მეტია, — თქვა ამხ. ᲑᲐᲙᲐᲜᲝᲕᲛᲐ. — მაგრამ სასილოსე სიმინდი სარწყავ ნაკვეთზე ადრე ავჭერით, როცა ტაროები ის-ის იყო ინასკვებოდა. სიმინდის მოსავალი ისე რომ აგველო, როგორც ახლა, როცა ტაროები ბაზია, მაშინ ათას ცენტნერამდე მასას მივიღებდით ჰექტარზე.

საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელებმა ილაპარაკეს პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საშუალებებზე. აქ ბევრი რეზერვია. ერთ-ერთი მათგანია ტუმბოების გადაყვანა ელექტროამძრავზე. ახლა წყალს ტრაქტორების დახმარებით აწვდიან. ამ წესის დროს ყოველი კუბური მეტრი წყალი თითო კაპიკი ჯდება. მაგრამ, თუ ელექტროძრავებს გამოვიყენებთ, ერთი კუბური მეტრი წყალი მხოლოდ 06 კაპიკი დაჯდება.

საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომი პ. ვ. ნეჩაევი ამბობს, რომ წყლის ფილტრაცია 15 პროცენტს აღწევს. მაგრამ ეს დანაკარგები შედარებითია. შემდეგ მან თქვა, რომ საბჭოთა მეურნეობაში გაჰყავთ დროებითი სარწყავები. სარწყავებს სწრაფად აგებენ. დღესა თუ დღენახევარში ერთი ავტოგრეიდერი 80 ჰექტარზე ასრულებს ამ სამუშაოს. ამასთან ნიადაგი კარგად მუშავდება.

— თქვენი გამოცდილება ძალიან საინტერესოა. იგი ყურადღების ღირსია, — განაცხადა Ն. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲛᲐ. — იგი განსაკუთრებით სასარგებლო შეიძლება იყოს სპეციალიზებული სარძეო მეურნეობებისათვის, რომლებიც ისეთი სამრეწველო ცენტრების გარშემო შეიქმნა, როგორიცაა დონბასი, როსტოვი და სხვა. სიმინდი, რომელიც თქვენ მოიწიეთ, — ნამდვილი სიმდიდრეა. თუ მას ცილას (შარდოვანა) დავუმატებთ, შესანიშნავ საკვებს მივიღებთ პირუტყვისათვის. ასეთი სიმინდით ყოველი მეურნეობა სწრაფად განვითარდება.

კრასნოარმეისკის საბჭოთა მეურნეობისა და „კუბანეცის“ მშრომელებთან ამხანაგ Ն. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ შეხვედრის დროს განიხილეს საწარფავი მიწათმოქმედების განვითარების აქტუალური საკითხები, გამოავლინეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდების დიდი შესაძლებლობანი.

## Ն. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ ᲩᲐᲕᲘᲓᲐ

**ᲮᲔᲠᲡᲝᲜᲘᲡ ᲝᲚᲥᲘ, 26 სექტემბერი.** (საკდესის კორ.). დღეს კრასნოდარიდან აქ ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი Ն. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ.

**აეროდრომზე Ն. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ დახვდნენ უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი პ. ე. შელესტი, უკრაინის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. პ. კაბანეცი, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე დ. ს. კოროტჩენკო, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. გ. კომიახოვი, პარტიის ხერსონის სასოფლო საოლქო კომიტეტის მდივანი ა. ს. კოჩუბეი, პარტიის ნიკოლაევის სამრეწველო საოლქო კომიტეტის მდივანი ა. ვ. ივაშჩენკო, პარტიის ნიკოლაევის სასოფლო საოლქო კომიტეტის მდივანი ტ. გ. ბარინეკი, შავი ზღვის სახალხო მეურნეობის საბჭო

# მთელი კაცობრიობის ინტერესებისათვის

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოახდინა რატიფიკაცია ხელშეკრულებისა ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ

**მთელი** მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანები მიესალმებიან ხელშეკრულებას ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ. ეს ხელშეკრულება კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ შესაძლებელია სადავო საკითხთა მშვიდობიანი გადაჭრის გზა, რომ არის საერთაშორისო დაძაბულობის შენელების რეალური შესაძლებლობა.

თვენახევარზე ცოტა მეტი ხანი გავიდა იმ ღირსსახსოვარი დღიდან, როცა საბჭოთა კავშირის დედაქალაქში სამი დიდი სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ისტორიულ დოკუმენტს, რომელიც დასაბამი მისცა კარგ საქმეს მთელი კაცობრიობისათვის.

მოსკოვის ხელშეკრულება შესანიშნავი მაგალითია მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის წარმატებისა, რომელსაც საბჭოთა კავშირი ახორციელებს. ამის დადასტურებაა ის, რომ ხელშეკრულებას უკვე ხელი მოაწერეს 100-ზე მეტი სახელმწიფოს წარმომადგენლებმა.

მოსკოვის ხელშეკრულება დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტია სრული და საყოველთაო განიარაღებისათვის ბრძოლაში, რასაც თანმიმდევრულად აწარმოებს საბჭოთა კავშირის მთავრობა. ეს ბრძოლა მკაფიოდ ასახავს გონივრულობისა და ადამიანურობის იმ პოლიტიკას, რომლითაც ხასიათდება საბჭოთა მთავრობის მთელი საგარეო-პოლიტიკური ხაზი. და ყველა კონტინენტიდან მომავალი ცნობები გვაძლევენ საფუძველს მტკიცედ განვაცხადოთ, რომ ხელშეკრულების დადების შედეგად წაადგეს აგრესიისა და ომის ძალებმა, მოგვიგო მშვიდობისა და პროგრესის საქმემ, მოიგო მთელმა კაცობრიობამ.

საბჭოთა ხალხმა მხურვალედ და ერთსულოვნად მოიწონა ისტორიული აქცია თავისი მთავრობისა, რომელმაც ხელი მოაწერა მოსკოვის ხელშეკრულებას. გამოხატა რა საბჭოთა ადამიანების ნებასურვილი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განსახილველად შეიტანა წინადადება ამ ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ.

25 სექტემბერს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილეს მოსკოვის ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხი. სხდომას თავმჯდომარეობდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ი. ბრეჟნევი.** სხდომას დაესწრნენ აგრეთვე სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი რ. ი. მალინოვსკი და სსრ კავშირის ატომური ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ა. ლეგასოვი.

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს **ვ. ვ. კუზნეცოვს,** რომელმაც გააცნო ინფორმაცია სსრ კავშირის მთავრობის სახელით. მან აღნიშნა, რომ ხელშეკრულების დადება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ ნაყოფია საბჭოთა მთავრობისა და პირადად ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის დაუცხრომელი მეცადინეობისა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის. ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ სამ სფეროში საბჭოთა სახელმწიფოს თანმიმდევრული მშვიდობისმოყვარეული საგარეო პოლიტიკის თვალსაჩინო შედეგია.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირი მრავალი წლის განმავლობაში ბეჯითად იბრძოდა ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვისათვის ყველა სფეროში.

ბევრი ქვეყნის პარლამენტებისა და მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციაში საბჭოთა წინადადების მხარდასაჭერად დიდი როლი შეასრულა სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ. მის მრავალ მოწოდებას ყველა მთავრობისა და პარლამენტისადმი, საპარლამენტთაშორისო კავშირის სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფისა და უმაღლესი საბჭოს ცალკეული დეპუტატების გამოსვლებს ფართოდ, დადებითად გამოეხმაურნენ მრავალი ქვეყნის პარლამენტარები, მთელი მშვიდობისმოყვარე ძალები.

ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის მთელი მსოფლიო საზოგადოებრიობის გაერთიანებულმა ღონისძიებებმა უზრუნველყვეს საბჭოთა მიზანი — სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებმა მოსკოვში შეიმუშავეს და 1963 წლის 5 აგვისტოს ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ.

რა თქმა უნდა, შეთანხმება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ სამ სფეროში, განაგრძო ამბ. კუზნეცოვმა, ჯერ კიდევ არ არის ომის თავიდან აცილების გარანტია, იგი განიარაღების ღონისძიებაც კი არ არის, მაგრამ ეს აკრძალვა, თუ მას დაიცავს ხელშეკრულების ყველა მონაწილე, რამდენადმე შეაფერხებს გამოლეტილი ატომური მეიარაღების შემდგომ გაძლიერებას.

გადაწყვეტა რა დაედო ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსში და წყალქვეშ საბჭოთა მთავრობამ ყოველმხრივ განიხილა საკითხი, თუ რა გავლენას მოახდენს ეს ხანიჯი საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების უშიშროებაზე, რომლის განმტკიცება ყოველთვის იყო და არის საბჭოთა მთავრობის უპირველესი ამოცანა.

მთელი სიმტკიცით შეიძლება ითქვას, რომ ხელშეკრულების დადება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსში და წყალქვეშ სავსებით შეესაბამება ჩვენი ქვეყნისა და მთელი სოციალისტური თანამეგობრობის უშიშროების ინტერესებს.

ზოგჯერ იძლევიან კითხვას, ხომ არა აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებს უპირატესობა იმასთან დაკავშირებით, რომ მათ მოაწყვეს უფრო მეტი, ვიდრე საბჭოთა კავშირმა, მიწისქვეშა ატომური გამოცდა, რომელიც აკრძალული არ არის კვლავაც აწარმოონ ხელშეკრულების მონაწილეებმა. არა, ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ არაერთარ ცალმხრივ უპირატესობას არ ანიჭებს ამერიკის შეერთებულ შტატებს. ხელშეკრულება სავსებით და ყოველმხრივ თანასწორუფლებიანია, იგი ერთნაირ მდგომარეობაში აყენებს ყველა მის მონაწილეს, ყველას თანაბარ ვალდებულებებს აკისრებს, ყველას ერთნაირ უფლებებს ანიჭებს. რაც შეეხება საკითხს მიწისქვეშა გამოცდების შესახებ, უნდა ითქვას, რომ საფუძველი საბჭოთა კავშირის ატომური ძალისა, რომელიც აკავებს იმპერიალისტებს აგრესიის ჩადენისაგან, სრულებითაც არ არის იმ სახეობათა ატომური იარაღი, რომელიც მიწისქვეშა გამოცდების საშუალებით იქმნება, არამედ სწორედ ის სახეობებია, რომლებშიც უპირატესობა საბჭოთა კავშირს აქვს, რასაც ბევრი ამერიკელი მოღვაწეც აღიარებს. გარდა ამისა, არავის არ შეუძლია ხელი შეგვიშალოს ჩვენ მოვაწყოთ ატომური იარაღის მიწისქვეშა გამოცდები, თუ ეს საჭირო იქნება საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების უშიშროების ინტერესებისათვის.

ამრიგად, ხელშეკრულების განხორციელების შესაძლებელი პედეგების დეტალური ანალიზი მკაფიოდ ადასტურებს, რომ საბჭოთა კავშირის უშიშროებას სრულებით არ ემუქრება საფრთხე ამ ხელშეკრულებით და იგი ჩვენს თავდაცვას არავითარ ზიანს არ აყენებს.

როგორც ხაზგასმულია საბჭოთა მთავრობის 21 სექტემბრის განცხადებაში, „თუ ვილაპარაკებთ იმაზე, ვინ მოიგო, ან ვინ წააგო ამ ხელშეკრულების დადებით, შეიძლება გარკვეულად ითქვას: წაადგეს აგრესიისა და ომის ძალებმა, მოიგო მშვიდობისა და პროგრესის საქმემ, მოიგო მთელმა კაცობრიობამ“.

ხელშეკრულების დადება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ სამ სფეროში წინგადადგმული ნაბიჯია საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გზაზე, რაც ასე სურს მთელ ხალხს, საბჭოთა კავშირმა, ისწრაფვის რა გამოიყენოს ის კეთილნაყოფიერი გავლენა, რომელიც ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულების დადებამ მოახდინა საერთაშორისო ატმოსფეროზე, წამოაყენა ღონისძიებათა მთელი პროგრამა, რომელთა განხორციელება გავლენას მოახდენდა საერთაშორისო ვითარების შემდგომ გაჯანსაღებაზე, გაუშვებდა გზას ძირეული პრობლემის — საყოველთაო და სრული განიარაღების პრობლემის გადასაწყვეტად. ეს ღონისძიებანი ჩამოაყალიბა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის გამოსვლაში საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის მიტინგზე 19 ივლისს.

მოსკოვის ხელშეკრულების დადებას, რომელიც შეესაბამება ხალხთა სასიცოცხლო ინტერესებს, თქვა ამბ. კუზნეცოვმა, სიხარულით შეხვდა მილიონობით ადამიანი დედამიწის ყველა კუთხეში. ხელშეკრულებას უკვე მოაწერეს ხელი 101 სახელმწიფოს წარმომადგენლებმა. როგორც ცნობილი, ხელშეკრულება 24 სექტემბერს რატიფიცირებულია ამერიკის შეერთებული შტატების სენატის მიერ.

ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ხელშეკრულების წინააღმდეგ გამოდიან მხოლოდ ისინი, ვისთვისაც ძვირფასი არ არის მშვიდობა, ვისაც უნდა კვლავაც უბიძგებდეს კაცობრიობას თერმოატომური ომის მორევისაკენ. ესენი არიან ამერიკელი „ცოფიანები“, დასავლეთგერმანელი რევანშისტები, ფრანგი ექსტრემისტები. ჩვენ დიდად ვუხეხართ, რომ მათთან ერთ მწყობრში აღმოჩნდნენ ახლა ჩინელი ხელმძღვანელები, რომლებიც მთელი ძალით ცდილობენ სახელი გაუტეხონ, ჩირქი მოსცხონ მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პოლიტიკას, რასაც თანმიმდევრულად ახორციელებს საბჭოთა კავშირი. ხელშეკრულებას რომ შეუერთდა მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფო — დიდიც და პატარაც, საუკეთესოდ დასტურებს იმას, რომ ჩინელი ხელმძღვანელები დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტისას ახორციელებენ პოლიტიკას, რომელიც მკვეთრად ეწინააღმდეგება ხალხთა ინტერესებს.

დასასრულ ვ. ვ. კუზნეცოვმა მოუწოდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებს ერთსულოვნად დაუჭირონ მხარი მოსკოვის ხელშეკრულებას ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ, რომელიც სარატიფიკაციოდ წარმოადგინა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭომ. ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია, ხაზი გაუსვა მან, დიდი სახელმწიფოებრივი სიბრძნის აქტი იქნება, იგი გამოხატავს საბჭოთა სახელმწიფოს დაუცხრომელ ზრუნვას მშვიდობის განმტკიცებისათვის, ცხადყოფს, რომ საბჭოთა სახელმწიფო რეალისტურად უდგება მსოფლიო პრობლემებს და გადაწყვეტს მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების ინტერესებისათვის. ამ ნაბიჯს დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმისათვის, რომ კიდევ უფრო განმტკიცდეს საერთაშორისო ავტორიტეტი სსრ კავშირისა, როგორც მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს, რომელიც თანმიმდევრულად ახორციელებს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა ურთიერთობაში.

სიტყვას ამბობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ო. ვ. კუუსინენი.** მან მოახსენა პრეზიდიუმს, რომ საბჭოთა პარლამენტის ორივე პალატის საგარეო საქმეთა კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე ერთსულოვნად გადაწყდა რჩევა მიეცეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მოახდინოს მოსკოვის ხელშეკრულების რატიფიკაცია.

კომისიების ყველა წევრმა, ხაზი გაუსვა ამბ. კუუსინენმა, სავსებით მოიწონა ხელშეკრულება, აღნიშნეს მისი დიდი მნიშვნელობა საბჭოთა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებისა და მთელი კაცობრიობის კეთილდღეობისათვის. კერძოდ, დეპუტატებმა, რომლებიც პროფკავშირებისა და კომკავშირის ხელმძღვანელ ორგანოებში შეუმიჯნეს, აღნიშნეს, თუ რა მხურვალედ დაუჭირეს მხარი ხელშეკრულებას ამ ორგანიზაციების წევრ-მშრომელთა მრავალმილიონიანმა მასებმა.

ამრიგად, განაცხადა დასასრულ ო. ვ. კუუსინენმა, ჩვენ შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ სრული ერთსულოვნება, რაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ორივე პალატის საგარეო საქმეთა კომისიების ყველა წევრმა გამოიჩინა ამ საკითხის განხილვაში, მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის იმ ლენინური პოლიტიკის საყოველთაო სახალხო მოწოდების ერთ-ერთი გამოვლინებაა, რომელსაც თანამიმდევრულად ახორციელებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და მთავრობა.

იწყება კამათი საბჭოთა მთავრობის ინფორმაციის გამო. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით იხილავენ ხელშეკრულებას ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ.

ადამიანისათვის ზრუნვით, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებისადმი მისწრაფებით ნაკარნახევია, რომ საბჭოთა მთავრობამ ხელი მოაწერა ამ ხელშეკრულებას, თქვა **ი. ი. პალეცკისმა** — ლიტვის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ. კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მშვიდობისათვის გამორჩენილი მებრძოლის ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მეთაურობით კარგად იციან ხალხთა მისწრაფებანი და საჭიროებანი. ხელშეკრულების დადების შედეგად კაცობრიობამ რეალურად იგრძნო საერთაშორისო ვითარების დაძაბულობის შენელება, დაინახა იმედის პირველი სხივი. და ჩვენ გვახარებს, როცა ვხედავთ, თუ რა გულწრფელი მოწონებით შეხვდა მსოფლიოს ადამიანთა დიდი უმრავლესობა ნამდვილი ჰუმანიზმის ამ აქტის ხელმოწერას.

შემდეგ ამბ. პალეცკისმა თქვა, რომ საბჭოთა ადამიანებს არ უკვიროდათ, რომ შეერთებული შტატების ერთი მუჭა სენატორები მთელი ძალღონითა და საშუალებებით ცდილობდნენ ჩაეფუშათ მოსკოვის ხელშეკრულების რატიფიკაცია. საბჭოთა ადამიანებს არ აკვირვებთ არც საფრანგეთისა და ბონის ზოგიერთი სახელმწიფო მოღვაწის დამოკიდებულება ხელშეკრულებისადმი.

მაგრამ უცნაური და გულსატკენია, რომ ამ კომპანიაში ვხედავთ სოციალისტური ქვეყნის — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელებს. უცნაური და გულსატკენია იმიტომ, რომ სოციალიზმი და ჰუმანიზმი განუყოფელი ცნებანია.

სულითა და გულით, განაცხადა ამბ. პალეცკისმა, ვიწონებთ ჩვენი მთავრობის საქმიანობას, ხელმძღვანელობს რა მშვიდობისადმი ხალხთა მისწრაფებით, ყველაზე მაღალი ჰუმანიზმის იდეებით, უკვე შესთავაზა თავის პარტნიორებს წინადადებანი, რომელთა მიზანია მშვიდობის შემდგომი განმტკიცება, და აწარმოებს საჭირო მოლაპარაკებას.

ამბ. პალეცკისმა მოუწოდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებს დაამოწმონ საბჭოთა ადამიანების ნათლად გამოხატული ნება-სურვილი და მოახდინონ რატიფიკაცია ხელშეკრულებისა ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ.

მილიონობით საბჭოთა ქალისა და დედის სახელით უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **ი. ხ. ნასრიდინოვამ** მხურვალედ მოიწონა საბჭოთა მთავრობის ღონისძიებანი, რომლებმაც უზრუნველყვეს ხელშეკრულების დადება ატომური იარაღის გამოცდის ნაწილობრივი აკრძალვის შესახებ, და ისევე, როგორც წინა ორატორმა, მხარი დაუჭირა ამ ხელშეკრულებას, მოითხოვა მისი რატიფიკაცია.

„საბჭოთა ადამიანებს, თქვა ამბ. ნასრიდინოვამ, მიაჩნიათ, რომ ხელშეკრულების დადება უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენაა, რომელიც ძალელ კაცობრიობის ინტერესებს შეესაბამება. ვამაყობთ, რომ დღეს მთელ მსოფლიოში ამ ხელშეკრულებას მოსკოვის ხელშეკრულებას უწოდებენ.

შეეხო რა ხელშეკრულების მოწინააღმდეგეებს, ი. ს. ნასრიდინოვამ განაცხადა:

— არ შეგვიძლია არ აღვშფოთდეთ იმის გამო, რომ ჩინეთის ხელმძღვანელები, რომლებიც თავიანთ თავს მარქსიზმ-ლენინიზმის დამცველებს უწოდებენ, გამოდიან მოსკოვის ხელშეკრულების წინააღმდეგ და აღმოჩნდნენ ერთ ბანაკში „ცოფიანებთან“ და ბოლომოღებელ ჰიტლერელებთან ერთად. ჩვენ ერთხელ კიდევ ვეუბნებით ჩინეთის ხელმძღვანელებს: კომუნიზმს არ სჭირდება, რომ მას „ხმა გასცეს“ ატომურმა ბომბმა. და თუმცა ჩვენი სამშობლოს უსაზღვრო სიერცეები მართლაც თვალწვდენია და საბჭოთა კავშირის მოსახლეობა დიდი, სრულიადაც არ არის ჩვენთვის სულ ერთი სსრ კავშირის რა ტერიტორია გადაიცვეა უდაბნოდ და რამდენი საბჭოთა ადამიანი შეეწირება ატომურ კოხფლეტს. ჩვენთვის ძვირფასია თვითეული საბჭოთა ადამიანის სიცოცხლე და კეთილდღეობა. ამიტომ საბჭოთა ადამიანებს არ შეუძლიათ არ მოიწონონ მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პოლიტიკა, რომელსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და მთავრობა ახორციელებენ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა საბჭოთა კავშირის მარშალმა **ს. მ. ბუდიონნომ** აღნიშნა, რომ საბჭოთა მეომრები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, სრული ერთსულოვნებით იწონებენ და მხარს უჭერენ პარტიისა და მთავრობის საგარეო პოლიტიკას, ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცება.

ჩვენ კარგად გვესმის, განაცხადა ამბ. ბუდიონნომ, რომ მიღწეული შეთანხმება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის საკითხზე შესაძლებელი გახდა საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის ყველა ქვეყნის მზარდი ეკონომიური და სამხედრო ძლიერების მეოხებით. ჩვენ ვითვალისწინებთ აგრეთვე, რომ რა დიდიც უნდა იყოს მოსკოვის ხელშეკრულების მნიშვნელობა, იგი ვერ აჩერებს გამალებულ შეიარაღებას და ვერ სპობს სავსებით თერმოატომური ომის საფრთხეს. ამიტომ, კვლავ მტკიცედ და ბეჯითად ცდილობს რა გამოხახოს მოუწესრიგებელ საერთაშორისო პრობლემათა ურთიერთმისაღები გადაჭრა, საბჭოთა მთავრობა ამავე დროს არ ანებებს თავის შეცადინეობას საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის, ჩვენი სახელოვანი შეიარაღებული ძალების შემდგომი განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის პირადი შემადგენლობა, განაცხადა ს. მ. ბუდიონნომ, ფხიზლად დგას ჩვენი სამშობლოს სახელმწიფო ინტერესების სადარაჯოზე და ყოველ წუთში მზად არის გამანადგურებელი დარტყმა მიაყენოს აგრესორს, თუ იგი ვაჭედავს დაარღვიოს კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომა.

საბჭოთა კავშირის მარშალმა ს. მ. ბუდიონნომ აგრეთვე მხურვალედ დაუჭირა მხარი წინადადებას მოსკოვის ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ.

— სწორედ ჩვენ, მუშებს, ცხოვრების შემოქმედებსა და მშენებლებს, შეგვიძლია ღირსეულად შევფასოთ მოსკოვის ხელშეკრულების მნიშვნელობა, — თქვა **დ. პ. სმირნოვამ,** კომბინატ „ტრიოხგორნაია მანუფაქტურის“ მრთველმა. მან გამოთქვა აზრი, რომ ეს ხელშეკრულება, როცა მას დაამტკიცებენ იმ საბჭოთა პარლამენტები, რომლებმაც ხელი მოაწერეს, სერიოზული დარბოლოებს იქნება ომის, ნგრევისა და განადგურების გზაზე.

ჩემთვის მახლობელია არა მარტო საბჭოთა, არამედ საზღვარგარეთელი მშრომელების მისწრაფებანი, ხაზგასმით აღნიშნა ამბ. სმირნოვამ. ყველა ჩვენგანს მოსკოვის ხელშეკრულება გვისახავს იმედს, რომ განხორციელდება ოცნება ვიცხოვროთ მშვიდობით, არ გვაშინებდეს ჩვენი ბავშვების ხვალინდელი დღე.

მე, განაცხადა დ. პ. სმირნოვამ, ხმას მივცემ ხელშეკრულების რატიფიკაციას იმიტომ, რომ ასე სურთ ჩემს ამომრჩეველს, ჩემს მეგობრებს ფაბრიკაში, ასე სურთ მთელი დედამიწის უბრალო ადამიანებს. ხმას მივცემ ხელშეკრულების რატიფიკაციას იმიტომ, რომ მოსკოვის ხელშეკრულებისადმი დამოკიდებულებით მოწმდება ახლა ოვითეული ადამიანი, თვითეული პოლიტიკური მოღვაწე, თვითეული მთავრობა: ის, ვინც წინააღმდეგია მოსკოვის ხელშეკრულებისა ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ, ის მშვიდობის წინააღმდეგია, ის, მაშასადამე, ომის მომხრეა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა **ვ. მ. კავუნმა** სავსებით გაიზიარა ის, რაც თქვეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხვა წევრებმა მოსკოვის ხელშეკრულების გამო.

სკკპ XXII ყრილობის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეებმა, განაცხადა ამბ. კავუნმა, მოხოვეს მეთქვა, რომ ისინი მხურვალედ იწონებენ ამ ხელშეკრულებას და მადლობას უხდიან კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას მათი ბრძნული საგარეო პოლიტიკისათვის.

ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, გვსურს მშვიდობიან პირობებში ვაშენოთ ჩვენი ნათელი მომავალი — კომუნიზმი. ამიტომ ვართ ომის წინააღმდეგი, ამიტომ მტკიცედ ვუჭერთ მხარს მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის განხორციელებაში მზადა ვართ კვლავაც გავუწიოთ უაღრესად მტკიცე მხარდაჭერა ჩვენს კომუნისტურ პარტიასა და ჩვენს მთავრობას.

მოხარული ვართ, განაგრძო ს. მ. კავუნმა, რომ ქვეყნების უმრავლესობა შეუერთდა მოსკოვის ხელშეკრულებას. ეს მოწმობს, რომ ხელშეკრულების დადება კეთილი ნების ადამიანთა დიდი წარმატებაა. და რაც უნდა თქვან მოსკოვის ხელშეკრულების მოწინააღმდეგეებმა, მთა შორის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა, ისინი ვერ შეარყევენ ჩვენს დიდ რწმენას, რომ სამართლიანია ჩვენი საქმე, რომ სწორია საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა, სწორია მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პოლიტიკა.

რაც შეგვეხება ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, განაცხადა ორატორმა, დაე ხურავის ნუ შეეპარება ეჭვი, რომ არ დავიშურებთ ძალღონეს მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში. ჩვენ ერთსულოვნად ვუჭერთ მხარს ჩვენი მშობლიური საბჭოთა მთავრობისა და მისი მეთაურის — მშვიდობისათვის დაუცხრომელი მებრძოლის ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის საგარეო პოლიტიკას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ამთავრებს ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხის განხილვას.

დასასრულ სიტყვა წარმოთქვა **ლ. ი. ბრეჟნევმა,** რომელმაც აღნიშნა, რომ აქ გამართული განხილვის დამახასიათებელი ნიშანია ის ერთსულოვნება, რომელითაც ყველა ორატორმა მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილება დაადოს ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულება. მათ აღნიშნეს, თუ რა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ამ ნაბიჯს. ამით გამოიხატა ის, რომ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულებას მხარს უჭერს მთელი საბჭოთა ხალხი, რომელიც ისევე, როგორც სხვა ქვეყნების ხალხები, ენერგიულ ზომებს მიესალმებიან ხელშეკრულების დადებას, რომელიც ეხმარება მთელ კაცობრიობის მისწრაფებებს, და იმედებს, საბჭოთა დამონებს ხელშეკრულების დადება მიანიჭოს [illegible] ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვისათვის საბჭოთა [illegible] ბრძოლის რეალურ წარმატებად.

საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ამხანაგმა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა, რომლის დიდი წვლილი ამ პრობლემის გადაჭრაში ფართოდ არის ცნობილი როგორც ქვეყნაში, ისე მთელ მსოფლიოში ამბობს ამბ. ბრეჟნევი, საესებით სამართლიანად გაუსვა ხაზი, რომ ატომური იარაღის გამოცდის ნაწილობრივი აკრძალვის ხელშეკრულებას დადების დადებ ადამიანებმა აქვს. იგი ცხადყოფს, რომ ჩვენს დროში, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ვითარებაში შეიძლება მივაღწიოთ მწვავე საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიან მოწესრიგებას. თუმცა მოსკოვის ხელშეკრულება, — საესებით მართებულად გაუსვა ხაზი ამხანაგმა ხრუშჩოვმა, — მხოლოდ პირველი ნაბიჯია საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გზაზე, მაგრამ ეს ნაბიჯი იმედს უსახავს ადამიანებს და მთაგონებს მათ კვლავ იბრძოლონ ქვეყნად მშვიდობის საქმის განმტკიცებისათვის.

დიდი შვების გრძნობით შეხვდნენ მთელი მსოფლიოს ხალხები ცნობას, რომ ახლა დედამიწის აღარ დაფარავს ატომურ აფეთქებათა ამაკანკალებელი სოკოსებრი ღრუბლები, რომ ჩვენი პლანეტა განთავისუფლდება რადიაქტიური ნალექების სიბინძურისაგან, რომლებიც ზიანს აყენებენ ახლანდელი და მომავალი თაობების ადამიანთა ჯანმრთელობას.

ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულების დადებას ხალხები მიესალმებიან იმიტომაც, რომ იგი მიაჩნიათ პირველ ქვად საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების შენობის საძირკველში. რა თქმა უნდა, მოგველის შეუპოვარი, ძნელი ბრძოლა, რათა განვახორციელოთ შემდგომი ღონისძიებანი საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, განიარაღებისათვის. მსოფლიოში ჯერ კიდევ არიან ძალები, რომლებიც ყოველნაირად ეწინააღმდეგებიან საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას. ესენი არიან იმპერიალიზმის ძალები, რომლებიც ცდილობენ რადაც უნდა დაუჯდეთ, ყოველგვარი საშუალებით, ჩაფუშონ ყოველი ნაბიჯი მშვიდობის განმტკიცების გზაზე. ამაში არაფერი არ არის გასაკვირი, ასეთია იმპერიალიზმის აგრესიული ბუნება.

საამაყოა ის ფაქტი, რომ ერთ კომპანიაში იმპერიალისტური რეაქციის ძალებთან, რომლებიც ეწინააღმდეგებიან საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, აღმოჩნდნენ ახლა ჩინეთის ხელმძღვანელები. „ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულების წინააღმდეგ რომ გამოდიან, ჩინეთის ხელმძღვანელები ფაქტიურად უერთდებიან იმათ, ვინც ცდილობს მსოფლიო დაიყენოს გზაზე, რომელსაც, საბოლოო ანგარიშით, მოჰყვება ომი. მათ აშკარად უჭირავთ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გათიშვის, სოციალისტური ბანაკის გათიშვის კურსი.

მაგრამ შეიძლება მტკიცედ ვთქვათ, რომ ჩინეთის ხელმძღვანელთა პოზიცია ვერ შეაჩერებს ხალხთა ბრძოლას მშვიდობისათვის. საბჭოთა კავშირი, სხვა სოციალისტური ქვეყნები მტკიცედ დგანან მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პოლიტიკის პოზიციებზე. ვერ-ცეცი და ვერავინ ვერ შეარყევს მათ მტკიცე გადაწყვეტილებას იბრძოლონ ქვეყნად მტკიცე, ურღვევი მშვიდობის დამყარებისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის. ჩვენ, მარქსიტ-ლენინელები, დარწმუნებული ვართ, რომ ამ ძნელ და მეაცრ ბრძოლაში მშვიდობის ძალები მოიპოვებენ გამარჯვებას. ამ აზრით ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულების დადება კარგი ნიშანია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა, განაგრძო ლ. ი. ბრეჟნევმა, ყოველ ღონეს ხმარობენ და იხმარენ იმისათვის, რომ მიაღწიონ შემდგომ წარმატებებს სახელმწიფოთა ურთიერთობის გაუმჯობესების, ურთიერთნდობის განმტკიცების დარგში. საბჭოთა კავშირმა წამოაყენა ღონისძიებათა კონკრეტული პროგრამა, რომლებიც ამ მიზანს ისახავენ. ამ პროგრამაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია გერმანიის მშვიდობიანი მოწესრიგებისა და მის საფუძველზე დასავლეთ ბერლინის მდგომარეობისნორმალიზაციის პრობლემის გადაჭრას. დიდი პოზიტიური მნიშვნელობა ენიჭება ნატოს წევრ სახელმწიფოებსა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებს შორის თავდაუსხმელობის ხაკრის დადებასა და ევროპაში მშვიდობის განმტკიცების სხვა ღონისძიებათა განხორციელებას. საბჭოთა კავშირი მოითხოვს აგრეთვე იმას, რომ უატომო ზონები შეიქმნას მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში, შემცირდეს სამხედრო

# ნოვატორული აზრი ჩვენი ტექნიკის ლოკომოტივია

## დღეს თბილისში მუშაობას იწყებს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა პირველი ყრილობა

**არ შეიძლება არ გვიხაროდეს, როცა ვხედავთ, რამდენი შესანიშნავი ადამიანი, ნოვატორი, გაგედული შემოქმედებითი აზრის ადამიანი გაიზარდა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური პარტიის შთამაგონებელი ხელმძღვანელობით.**

**ნ. ს. ხრუშჩოვი.**

# შემოქმედებითი ძიებით

### ასე იქმნება პირველი ქართული ჰიდროელმავალი

თბილისის სალოკომოტივო დეპოში მუშაობს მთავარ ინჟინრად. იშვიათად ნახავს მას კაცი კაბინეტში, უფრო ხშირად საამქროებშია საწარმოო უბნებზე, იქ, სადაც საქმე კეთდება, იქ, სადაც „ავადმყოფ“ ელმავალს მკურნალებად შესევიან ელექტროზეინკლები, ამწყობები და მემონტაჟეები, სადაც თბომავალს ელექტროსაქმეს უნდა შეუსწორონ, დიზელის მუშაობაში შეფერხების მიზეზი მონახონ და ამ დანადგარს მწყობრიდან გამოსული კვანძი ისეთი ახალი კვანძით შეუცვლონ, ისე ოსტატურად მოარგონ, რომ დიზელსამშენებლო ქარხნის სპეციალისტსაც კი გაუკვირდეს, ნუთუ ეს გამოცვლილი კვანძი ჩვენს ქარხანაში გაკეთებული არ არისო.

უკვართ დეპოში თავიანთი მთავარი ინჟინერი—პატიოსანი, უბრალო და უპრეტენზიო კაცი, ამხანაგი, ჭირისა და ლხინის მონაწილე მეგობარი და ამასთან თავისი საქმის დიდი მცოდნე, ავტორიტეტიანი სპეციალისტი, რომელიც არავის და არასოდეს არ აგრძნობინებს, რომ ტექნიკური წიგნიერებით მასზე მაღლა დგას, რომ მისი რჩევა რომელიმე ელექტროტექნიკური ხასიათის საკითხის გადაჭრის შესახებ უაპელაციოა.

— ჩემი აზრით, ეგრე კი არა, ასე აჯობებს, — იტყვის იგი, როცა შენიშნავს, რომ სამუშაოთა ხელმძღვანელი სპეციალისტი მცდარ პოზიციაზე დგას,— ჰიდი, ასეც ვცადოთ!..

თბილისის სალოკომოტივო დეპოს ეს მთავარი ინჟინერი ვახტანგ მაღალაშვილია.

ჩაყენება სათანადო ჩიხებში და ა. შ.) ახლა იყენებენ სამი ტიპის ლოკომოტივებს — თბომავლებს, ელექტრომავლებს და, უფრო იშვიათად, ორთქლმავლებს. ორთქლმავლის სამანევრო სამუშაოებზე გამოყენება ხელსაყრელი არ არის. მისი მარგი მოქმედების კოეფიციენტი 7-8 პროცენტს ძლივს აღწევს. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი ასი კილოგრამი მაზუთიდან, რასაც სახალხო მეურნეობაში ოქროს ღირებულება აქვს, უნაყოფოდ იწვის ჰაერის მოსაწამლავად 97-98 კილოგრამი და მხოლოდ 7-8 კილოგრამი ხმარდება საქმეს, თუ ამ უნაყოფოდ დახარჯულ საწვავს ვიანგარიშებთ ისეთი დიდი სახელმწიფოს მასშტაბით, როგორც ჩვენი სამშობლოა, მივიღებთ მაზუთის დიდ დანაკარგს.

არც ელმავლის გამოყენებაა ხელსაყრელი სამანევრო სამუშაოებისათვის. იგი ერთი ან ორი ვაგონის მცირე მანძილზე გადასაადგილებლად ხარჯავს 40-50 ვაგონის წასაღებად სამყოფ ელექტროენერგიას, ხოლო ელექტროენერგიას სახალხო მეურნეობისათვის ოქროს ფასი აქვს. არც თბომავალია შესაფერისი სადგურებზე სამანევრო სამუშაოებისათვის. მისი მარგი მოქმედების კოეფიციენტი 28 პროცენტს აღწევს. სწორედ ამის გამო ინჟინერ მაღალაშვილს დაებადა აზრი შეექმნა ახალი სამანევრო ლოკომოტივი. ამაზე ფიქრმა დაუკარგა მას მოსვენება.

თბომავალი შესანიშნავი, უაღრესად პროგრესული ლოკომოტივია. მაგრამ მისი მარგი მოქმედების კოეფიციენტს დიდად აქვეითებს ერთ-ერთი დანადგარი — დიზელი, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს ლოკომოტივი. დიზელი მხოლოდ 6.000 საათის განმავლობაში მუშაობს, შემდეგ საჭიროა მისი შეკეთება, რაც არსებული ნორმების მიხედვით 4.000 მანეთი ჯდება. დიზელი ძვირადღირებული საწვავით მუშაობს. ვთქვათ, მოგხსენით თბომავლიდან დიზელი და მის ნაცვლად დავდგით საელმავლო წევის ძრავები (წევის ძრავი 30.000 საათს მუშაობს შეუკეთებლად), ოღონდაც იმ პირობით, რომ ლოკომოტივის თვლებზე მოძრაობის გადაცემის ის სქემა, რომელიც ელმავალს აქვს, შეავცვალეთ ჰიდრავლიკური სქემით. იმუშავებს თუ არა ასეთი ლოკომოტივი? ტექნიკის ყველა კანონს შესაბამისად უსათუოდ უნდა იმუშაოს.

სქემების ხაზვაში და გაანგარიშებებში დრო გავიდა, მაგრამ დასკვნებმა, რომლებიც მათემატიკურ ფორმულათა გახსნის შედეგად მიიღო ნოვატორმა-ინჟინერმა, გული გაუხარა მას.

მაღალაშვილის ამ სქემას გაეცნენ რკინიგზელი სპეციალისტები და მათი ხელმძღვანელები, გამოჩენილი მეცნიერები, ავტორიტეტიანი ელექტროტექნიკოსები. ყველამ ერთსულოვნად მოიწონა ეს იდეა, ყველამ აღიარა მისი დაჩქარებით განხორციელების საჭიროება. განსაკუთრებული თავგამოდება გამოიჩინეს ამ სიახლის განხორციელებაში ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელებმა.

ორიოდე თვის წინათ თბილისის სალოკომოტივო დეპოში უკვე შეუდგნენ ინჟინერ ვახტანგ მაღალაშვილის სქემის მიხედვით ახალი ლოკომოტივის — პირველი ქართული ჰიდროელმავლის შექმნას.

ამჟამად ეს ლოკომოტივი თითქმის უკვე მზად არის, ოღონდაც აკლია კორპუსის გაფორმება, შესასრულებელია ზოგიერთი ისეთი სამუშაო, რაც მისი გარეგნული ესთეტიკური მოხდენილობისათვის არის საჭირო და რაც შეიძლება ორიოდე კვირაში მოთავდეს.

ბევრი უპირატესობა აქვს ქართულ ჰიდროელმავალს ყველა სხვა ტიპის ლოკომოტივებთან შედარებით: ჯდება 40 პროცენტით ნაკლები, ვიდრე ელმავალი, მას გასაკეთებლად საჭიროა 4 ტონით ნაკლები ფერადი და 10 ტონით ნაკლები შავი ლითონი, ჰიდროელმავალს შეუძლია ომუშაოს სამანევროდაც და მაგისტრალებზე მატარებლის წასაყვანად.

**ვატრიოტული** სულისკვეთებით იზრახოს მის შესაქმნელად დეპოელმა მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა — ვლადიმერ ბატკუშვილმა, ივანე ლომიძემ, შოთა გაბეჩავამ, ალ. ესებუამ, ოთარ ჯინჭარაძემ, ლევან მოსეიფლიშვილმა, ავთანდილ გურგენიძემ, იოსებ უიუელაშვილმა, ვალერიან ზარიძემ და სხვებმა, რომელთაც გვერდში უდგნენ დეპოს უფროსი აკაკი ულენტი და მეზობელი საწარმოდან მოსული დამხმარეები მერაბ გაგუნაშვილი, კაზიმირ გაზდა, ბორის ვაინშტეინი, ელმავალმშენებელთა ხელმძღვანელები ირაკლი ზერეკიძე და აპოლონ მასხარაშვილი.

კოლექტიურმა შრომამ განახორციელა ვახტანგ მაღალაშვილის — რიგითი, გონებამახვილი ქართველი ინჟინრის ჩანაფიქრი, ნოვატორული გამარჯვება.

**დ. ლომთაძე.**

### ლაპარაკობენ ყრილობის დელეგატები

# სიბეჯითე იმარჯვებს

**ადამიანმა, რომელიც მუშაობს დაზგასთან და ქმნის საბალხო დოვლათს, სხვაზე კარგად იცის რა გზით შეიძლება მუშაობის უკეთ მოწყობა, როგორ შეიძლება პროდუქციის გამოშვების გადიდება, შრომის ნაყოფიერების ამაღლება. ჩვენი წარმოების ნოვატორები ეძებენ ახალ-ახალ რეზერვებს იმისათვის, რათა ნაკლები შრომითი დანახარჯებით მივაღწიოთ შრომის ნაყოფიერების ამაღლებას და ამით შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება.**

**ამ საქმეში ღირსეული წვლილი შეაქვთ წარმოების რაციონალიზატორებსა და გამომგონებლებს. ისინი აყენებენ მნიშვნელოვან წინადადებებს საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის განხორციელებისათვის, გაუმჯობესებული ტექნოლოგიის დანერგვისათვის, ძვირად ღირებული მასალების იაფი და გამძლე მასალით შეცვლის შესახებ.**

**თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხანაში ღუზების საიზოლაციოდ ვხმარობდით ძვირად ღირებულ მასალას. ეს ადიდებდა პროდუქციის თვითღირებულებას. ამაზე ბევრი ვიფიქრე და ქარხნის ხელმძღვანელების დახმარებით უფრო იაფი საიზოლაციო მასალით შევცვალეთ. ახლა წარმოებაში ღუზების იზოლაციას ახალი მასალით ვაწარმოებთ. შედეგი ძალზე კარგი მივიღეთ. წელიწადზე გადაანგარიშებით ამ ღონისძიების განხორციელება იძლევა 2.114 მანეთი პირობით ეკონომიას.**

**რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა ყრილობა დაგვეხმარება შემდგომში კიდევ უფრო უკეთესად მოვეკიდოთ რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის საქმეს.**

**გ. ცხადაძე,**
**თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის ელექტროსამანქანო საამქროს უფროსი.**

# ხელით შრომას ვუთხრათ: არა!

**ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ავტომატების საამქროს ერთ-ერთს პირველს მიენიჭა კომუნისტური შრომის საამქროს სახელწოდება. კომუნისტური შრომის მოწინავე ხაზზე არიან ჩვენი საამქროს რაციონალიზატორები და გამომგონებლები. პირადად მე ყოველდღიურ დავალებას დიდი გადაჭარბებით ვასრულებ, ამასთან 40-ზე მეტი რაციონალიზატორული წინადადების ავტორი ვარ.**

**ჩემი პირველი წინადადება, რომელიც ჰორიზონტალური საბურღი ჩარხის მაგიდაზე დეტალების დასამაგრებელი დამჭერი პრიზმის ფოლადის მილისებში ჩასმას და ამით ჩარხის მუშობის გახანგრძლივებას შეეხებოდა, ყველას მოეწონა და სწრაფად დანერგა წარმოებაში. ამით წახალისებულს ერთი წუთითაც არ შემიწყვეტია ზრუნვა მშობლიური საწარმოს ტექნიკური პროგრესისათვის. ვმუშაობ დეტალების დამჭერი სამარჯვების დამზადებაზე და შეკეთებაზე. ჩემ წინადადებით მარტო უკანასკნელ ორ წელიწადში გადაკეთდა და კვლავ მწყობრში ჩადგა მანამდე გაუქმებული 30 სამარჯვი.**

**ბევრი ჩემი წინადადების მიზანია საწარმოო პროცესებზე ხელით მძიმე შრომის შემცირება და ლიკვიდაცია. მაგალითად, ძრავის სარქველის მიმმართველი მილისის შუბლის მოკრა, რაც აქამდე ძირითადად ხელით სრულდებოდა, ახლა პნევმატური სამარჯვით ხორციელდება და ამ ოპერაციაზე ხელით შრომა საჭირო აღარ არის. დანერგვის პროცესშია ჩემი მეორე წინადადება, რომლითაც ავტომანქანის წინა და უკანა რესორების თითებზე ხრახნის მოჭერისას გამორიცხულია ხელით შრომა და ეს ოპერაცია ავტომატურად სრულდება.**

**გადწყვეტილი მაქვს წლის ბოლომდე ათი რაციონალიზატორული წინადადება შევიტანო და ამით კიდევ უფრო ვამრავლო ჩემი წვლილი კომუნიზმის ეკონომიის ფონდში.**

**გ. მექმარიაშვილი,**
ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ავტომატების საამქროს ზენაკალი.

# გამჭრიახი გონების ადამიანები

**ქარხანასთან** არსებული რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის საბჭო თავისი ნაყოფიერი საქმიანობით თვალსაჩინო დახმარებას უწევს იმ ადამიანებს, რომლებიც აყენებენ საქმიან წინადადებებს მუშაობის გასაუმჯობესებლად, ტექნიკური სიახლეების დასანერგავად. ჩვენს წარმოებაში რაციონალიზატორები და გამომგონებლები ბევრნი არიან. ზოგიერთმა მათგანმა ღირსეული წვლილი შეიტანა წარმოების ტექნიკური პროგრესის საქმეში. განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს ქარხნის მთავარმა ენერგეტიკოსმა ნ. ჭეიშვილმა, საიარაღო საამქროს მთავარმა ტექნოლოგმა გ. ხუნდაძემ, ქარხნის მთავარმა ინჟინერმა რ. თარგამაძემ, ინჟინერმა ე. პატიოხინმა, საიარაღო საამქროს უფროსმა ს. მურადიანმა. ამ ამხანაგების მიერ წამოყენებული წინადადებებით დანერგვის შედეგად წარმოება ყოველწლიურად 28.700 მანეთის პირობით ეკონომიას მიიღებს.

**რაც გავაკეთეთ, უდავოდ თვალსაჩინოა. მაგრამ გასაკეთებელიც ბევრია. ჩვენს წარმოებაში ჯერ კიდევ საგრძნობლად დიდია წუნდებული პროდუქციის პროცენტი, რაც მძიმე ტვირთად აწევება წარმოებას. ამის შესახებ ბევრი უნდა იფიქრონ წარმოების გამომგონებლებმა და რაციონალიზატორებმა.**

**გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საკავშირო საზოგადოების საქართველოს პირველ ყრილობას პირობას ვაძლევთ, რომ შემდგომში კიდევ უფრო გავაუმჯობესებთ მუშაობას და ჩვენს შემოქმედებით შრომას წარვმართავთ ადამიანის ხელით მძიმე შრომის აღსაკვეთად, პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის, წარმოების ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის.**

**შ. ფანცულაია,**
**თბილისის პლასტმასის ქარხნის საკონსტრუქტორო განყოფილების უფროსის მოადგილე.**

# რაციონალიზატორთა დიდი წვლილი

**რაციონალიზატორებისა** და გამომგონებლების რესპუბლიკური ყრილობის მოწვევის შესახებ ცნობამ შემოქმედებითი აღძვრობა გამოიწვია საქართველოს ერთ-ერთ დიდსა და წამყვან ჩარხსამშენებლო საწარმოს — თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის რაციონალიზატორებსა და გამომგონებლებში.

— როგორი მაჩვენებლებით უნდა მივედეთ ამ ყრილობაზე, გვითხარით, როგორია ჩვენი შემოქმედებითი მუშაობის ბაყოფი? — ასეთი მოთხოვნა წაუყენეს ჩარხმშენებელმა რაციონალიზატორებმა გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საქარხნო ბიუროს, რომელმაც შეაჯამა შეიდწლედის განვლილი ოთხნახევარი წლის მთელი თავისი მუშაობა.

სულ შვიდწლედის დასაწყისიდან მიმდინარე წლის მეორე ნახევრის დაწყებამდე ქარხანაში მომუშავე რაციონალიზატორებმა შემოიტანეს 2.300 წინადადება. აქედან წარმოებაში დაინერგა 800 წინადადება, რამაც საწარმოს 230.000 მანეთი ეკონომია მისცა.

მარტო მიმდინარე წლის განმავლობაში შემოსულია 300 რაციონალიზატორული წინადადება. აქედან დაინერგა ასი წინადადება, რაც საწარმოს მისცემს სულ ცოტა 20.000 მანეთს საშუალო წლიურ პირობითს ეკონომიას. წლის ბოლომდე რაციონალიზატორებს გათვალისწინებული აქვთ მთელ რიგ ისეთ ახალ რაციონალიზატორულ სიახლეთა განხორციელება, რამაც საწარმოს საბოლოო ანგარიშით უნდა მისცეს 40.000 მანეთი ეკონომია.

ბევრმა ჩარხმშენებელმა რაციონალიზატორმა ისახელა თავი ტექნიკის გაუმჯობესების დარგში ნამდვილი ნოვატორული შემოქმედებით, წარმოების „ავწრო ადგილთა“ დასაძლევად გონებამახვილი საშუალებების გამონახვით. № 2 მექანიკურ-ამწყობი საამქროს ლომნიშვნელმა ი. შავგულიძემ, უკვე გახორციელებული 22 დიდმნიშვნელოვანი რაციონალიზატორული წინადადების ავტორმა, რომელიც სპეციალური ჩარხების დეტალთა მონიშვნაზე მუშაობს, გააკეთა კუთხემზომი ხელსაწყო, რომლითაც ახლა მთელ ქარხანაში სარგებლობენ. ეს ხელსაწყო მომნიშვნელს უადვილებს შრომას, უზრუნველყოფს დეტალის სიზუსტეს.

სამღებრო საამქროს უფროსმა ოსტატმა კ. გველესიანმა შეიმუშავა და დაანერგა 6 რაციონალიზატორული წინადადება, რითაც ქარხანას დაუზოგა 3.000 ჩაქუთის ლაქსალებავები, ლითონი და ბუმბალი. სამპატიო რაციონალიზატორის სახელი დაიმსახურა კონსტრუქტორმა გ. ასსაშვილმა, რომელმაც ბევრი გაუმჯობესება შეიტანა „163“ მოდელის ჩარხში, რაც ქარხანას ყოველწლიურად 6.000 მანეთ ეკონომიას აძლევს.

შემოქმედებითი მიღწევებით გამოჩენილი ბევრი სხვა რაციონალიზატორით ამაყობს ჩარხსამშენებლო საწარმოს კოლექტივი. კოლექტივის სამაყო ადამიანთა შორის არიან სამჭედლო-თერმული საამქროს მჭედელი შ. მანველიძე, № 6 საამქროს მტვიფრავი გ. ნანიტაშვილი, მექანიკური საამქროს ტექნოლოგი ს. ვერკინი, ქარხნის მოწინავე სპეციალისტები და რაციონალიზატორ მუშათა კონსულტანტები — გ. დოლუზამვილი, გ. იოანჯიანი, ა. ანდრეევი, ლ. ქურციკიძე, მღარავი ა. ალექსეენკო, კონსტრუქტორი გ. ბადაშვილი და სხვ.

მაგრამ რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის საქარხნო ბიუროს მუშაობაში ამ წარმატებებთან ერთად ადგილი აქვს ნაკლოვანებებსაც. ნაკლოვანებებს აუმკარავებს ის, რომ წარმოებაში დანერგულია შემოსული წინადადებათა დაახლოებით 50 პროცენტი და არა მეტი. ეს იმას ნიშნავს, რომ რაციონალიზატორები მიზანდასახულად არ წარმართავენ თავიანთ მუშაობას, მაშასადამე, ისინი არ იცნობენ წარმოების მტკივნეულ საკითხებს, არ ხელმძღვანელობენ წინასწარ და მოფიქრებით დამუშავებული თემატიკური გეგმით.

რაციონალიზატორული მუშაობის გაშლას საგრძნობლად აფერხებს შემოტანილ წინადადებათა განხილვის გაჭიანურება. არსებული წესის მიხედვით, ყოველი რაციონალიზატორული წინადადების ავტორს გარკვეული პასუხი უნდა მიეცეს მისი წინადადების დასანერგავად მიღება-არმიღების შესახებ 15 დღეში, ხოლო აქ კი წინადადების განხილვა დიდი დაგვიანებით ხდება. ეს აფერხებს რაციონალიზატორების მუშაობას, უკარგავს მათ ხალისს, ამუხრუჭებს მათი რიგების ზრდას.

**გ. გორბატენკო,**
**საქარხნო ტექნიკური ინფორმაციის ინჟინერი.**

# მას ასე გაჰყავს გზა ლაჟვარდებში

ეს ამბავი ათი წლის წინათ მოხდა. ქართული მარგანეცის ქალაქში ამუშავდა პირველი სახალხო საჰაერო-საბაგირო გზა. ეს გზა პირველი იყო არა მარტო ჭიათურაში, არამედ საბჭოთა კავშირშიც. სახალხო საბაგირო გზამ ჭიათურა დაკავშირა პერევისის მაღაროს მაღალ ზეგანთან. მნახველები და მგზავრები ქვემოთ იხსენიებდნენ ჭიათურელ ინჟინერს გიორგი ფანცულაიას, რომლის გბედულმა აზრმა შექმნა სახალხო-საბაგირო გზის პროექტი.

ჟურნალ „ოგონიო�sკის“ გარეკანზე იმხანად გამოჩნდა ჭიათურა-პერევისის გზის ხედი. ახალი აზრი და კარგი საქმე სწრაფად გავრცელდა. „ოგონიოკი“ ინახულეს ლატვიის საკურორტო ქალაქ სიგულდაში, რომელიც რიგიდან 30 კილომეტრზე მდებარეობს, ჭიათურას ეტაუმრა სიგულდის საქალაქო საბჭოს წარმომადგენელი. მან პროექტითა და მოწყობილობით დახმარება სთხოვა ჭიათურელებს, რათა სიგულდაში აეშენებინათ სახალხო-საბაგირო გზა. ჭიათურელებმა სიამოვნებით მიიღეს სიგულდელი მეგობრების მოწვევა. ლატვიაში ჩავიდა ინჟინერი გ. ფანცულაია. ინახულა რელიეფი, დააპროექტა სახალხო-საბაგირო გზა. ჭიათურელთა ტექნიკური კონსულტაციითა და დახმარებით აშენდა იგი. დამახასიათებელია, რომ ამ გზის ერთ სადგურს ჭიათურა შეარქვეს, მეორეს კი — სიგულდა. ეს გზა გადაიქცა ქართველი და ლატვიელი ხალხის მეგობრობის სიმბოლოდ.

მაგრამ განა მარტო ეს გზა აშენდა გ. ფანცულაიას პროექტით! პირველი საჰაერო-საბაგირო გზები თბილისში, ზესტაფონში, მწვანე კონცხზე, აბასთუმანში, ბორჯომში აშენებულია გ. ფანცულაიას პროექტებით. საბჭოთა კავშირის მრავალ წარმოებას მათი თხოვნით გაეგზავნა გ. ფანცულაიას სისტემის საბაგირო გზების ტექნიკური დოკუმენტაციები.

ჭიათურაში 50-ზე მეტი საბაგირო გზაა. ჭიათურას მარგანეცის ქალაქთან ერთად სამართლიანად უწოდებენ საბაგირო გზების ქალაქს, კოლექციონერს, ლაბორატორიას. მსოფლიოს არც ერთ კუთხეში ერთდროულად არ მუშაობს ამდენი და ისიც სხვადასხვა კონსტრუქციის საბაგირო გზები! მათი უმეტესობა შექმნილია ჭიათურელი სპეციალისტების მიერ. აღსანიშნავია, რომ ამ გზების 80 პროცენტი დაპროექტებული და აშენებულია გ. ფანცულაიას მიერ და მისი მონაწილეობით. ჭიათურის საბაგირო გზებს ყოველდღიურად გადააქვთ 35.000 ტონამდე ტვირთი.

ითხვისისა და დარკვეთის ზეგნებზე აღმართულია 110 მეტრის სიმაღლის ლითონის კონსტრუქციის საყრდენები, რომლებზეც გაბმულია ფოლადის ბაგირები. ეს საყრდენები დიმიტროვის სახელობის მაღაროს და გამამდიდრებელი ფაბრიკის საბაგირო გზების გადამტვირთავი სადგურებია. ამ გზებზე დიდი სიჩქარით მოძრაობენ რვათვლიანი ვაგონები, რომლებიც ნებისმიერ ადგილს თავისთავად იცვლიან. ასეთი დიდი ტვირთამწეობისა და სისწრაფის გზებს მსოფლიოს ვერც ერთ კუთხეში ვერ ნახავთ. ეს გზები დაპროექტებული და დამონტაჟებულია გ. ფანცულაიას მიერ.

იგი შუდამ ახლის ძიებაშია, გზების კონსტრუქციებში შეაქვს გაუმჯობესებანი. მარტო დარკვეთის. საჰაერო-საბაგირო გზების აგებაში მრავალი ტექნიკური სიახლისათვის გ. ფანცულაიამ მიიღო ორი საავტორო მოწმობა. ტექნიკური გაუმჯობესება — გამოგონებებისათვის. მისი ეს უკვე მეოცე საავტორო მოწმობაა. მისმა რაციონალიზატორულმა წინადადებებმა და გამოგონებებმა მარგანეცის მრეწველობას მილიონები დაუზოგა. საავტორო მოწმობებში აღნიშნულია, რომ ეს გზები მთლიანად ორიგინალური კონსტრუქციისაა, იქ გამორიცხულია ფიზიკური შრომა და მარცხი.

ინჟინერ გ. ფანცულაიას სახელი, როგორც საჰაერო-საბაგირო გზების ნიჭიერი კონსტრუქტორ-გამომგონებლისა, შორს არის გასული. იგი მიწვეული იყო იტალიის, ავსტრიის, შვეიცარიის საგზაურო-საბაგირო გზების ფირმებისაგან, სადაც ბევრი საინტერესო გაიგო და თავისი გამოცდილებაც გადასცა მათ.

გ. ფანცულაიას პროექტებსა და მაძიებელ ტექნიკურ აზრს მაღალ შეფასებას აძლევს საბაგირო გზების ლენინგრადელი გამომგონი სპეციალისტი, პროფესორი ა. ი. დუკელსკი. მის ფუძემდებლურ შრომებში თვალსაჩინო ადგილი აქვს დამომბილი გ. ფანცულაიას კონსტრუქციის საბაგირო გზების აღწერას. ლენინგრადელი მეცნიერი დადებით დასკვნას აძლევს გ. ფანცულაიას პროექტებს და დასძენს, რომ საბაგირო გზების ტექნიკაში იგი ახალი და პროგრესულია.

გ. ფანცულაიას ნიჭი და შრომისმოყვარეობა დაფასებულია. იგი დაჯილდოებულია რამდენიმე ორდენითა და მედლით. მას ერთ-ერთ პირველს მიეკუთვნა საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლისა და საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერის საპატიო წოდებები.

რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა ყრილობას დამსახურებული გამომგონებელი შემოქმედებითი შთანაფიქრით ხვდება, მისი დაუცხრომელი ტექნიკური აზრი ახალი კონსტრუქციების შექმნას გვპირდება.

**პ. ჭიოკაძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორ.

* * *

**სურათზე:** მარგანეცის ტრესტის მთავარი ინჟინერი, რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის საბჭოს თავმჯდომარე მ. აფაქიძე და საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებელი გ. ფანცულაია საბაგირო გზის მშენებლობაზე.

ფოტო ა. მაჭავარიანისა.

**რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ტექნიკური პროგრესი ხორციელდება გამომგონებლებისა და რაციონალიზატორების აქტიური მონაწილეობით, რომლებმაც განვლილ ნახევარ წელიწადში შეიტანეს 9,4 ათასზე მეტი წინადადება.**

**ამავე ხნის განმავლობაში სახალხო მეურნეობაში დაინერგა 5,3 ათასზე მეტი გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება, რაც წელიწადზე გადაანგარიშებით 6,5 მილიონ მანეთზე მეტ ეკონომიას იძლევა.**

# ახალი მანქანები, მოწყობილობა, ავტომატები

**კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მომზადების საქმეში მთავარი და გადამწყვეტია ტექნიკური პროგრესი. ამ საქმეში დიდ როლს ასრულებენ გამომგონებლები და რაციონალიზატორები, ინჟინრები და მეცნიერები, თვითეული შემოქმედებითი ტექნიკური აზრის ადამიანი. ამ ფაქტზე ლაპარაკობს ის, რომ ჩვენს მრეწველობაში ყოველწლიურად იქმნება მრავალი ახალი გაუმჯობესებული მანქანები და მოწყობილობები. წარმატებით ხორციელდება შრომატევადი პროცესების ავტომატიზაცია და მექანიზაცია.**

**საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობაში წლის პირველ ნახევარში დაინერგა დაახლოებით ერთი მილიონ ოთხასი ათასი გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება. ეს იძლევა 750 მილიონ მანეთზე მეტ ეკონომიას წელიწადზე გადაანგარიშებით. აგრეთვე სსრ კავშირის სამრეწველო საწარმოებმა განვლილ ნახევარ წელში ათითხეს და დაამზადეს 300-მდე ახალი უმნიშვნელოვანესი სახეობის მანქანები, მოწყობილობა, ხელსაწყოები და სხვადასხვა დანიშნულების ახალი სახეობის მასალები.**

**ამ საერთო წარმატებაში დიდია ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ნოვატორების წარმატება. მიმდინარე წელს საქართველოს მრეწველობის, მშენებლობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მუშაკთა კოლექტივები სამეცნიერო საკვლევ და საპროექტო საკონსტრუქტორო ორგანიზაციებთან თანამეგობრობით ახორციელებენ მუშაობას წარმოების შემდგომი ტექნიკური სრულყოფისათვის. წლის პირველ ნახევარში განხორციელდა ღონისძიებანი საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის, მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვისათვის, მომქმედი მოწყობილობების მოდერნიზებისა და ახალი, უფრო მაღალი წარმადობის მოწყობილობების დანერგვისათვის, ახალი მანქანების შექმნისა და მოძველებული კონსტრუქციის მანქანების წარმოებიდან მოხსნისათვის. ათვისებულია 17 ახალი უმნიშვნელოვანესი ტიპის მანქანების, ხელსაწყოებისა და მოწყობილობების წარმოება.**

**სწორედ ამის შედეგია ის, რომ რესპუბლიკის მრეწველობამ შრომის ნაყოფიერების ნახევარი წლის გეგმა 104 პროცენტით შეასრულა და 1962 წლის პირველ ნახევართან შედარებით შრომის ნაყოფიერების ზრდა რესპუბლიკასა და სახალხო მეურნეობის საბჭოში შეადგენს 6 პროცენტს, აგრეთვე გადაჭარბებით არის შესრულებული ერთი მანეთის საპროექტო პროდუქციაზე დანახარჯების შემცირების წლის პირველი ნახევრის გეგმა.**

# ტექნიკური აზრის ფრთებით...

**ოსთავის** მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროში არ ყოფილა ისეთი საწარმოო თათბირი, რომ ფოლადგამტარი ღარების რემონტის შესახებ არ ელაპარაკნათ. მართლაც, ფოლადგამტარი ღარების რემონტი მუდამ იყო ფოფოლადეთა ყველაზე მტკივნეული საკითხი. ექსკი კაცისაგან შემდგარ მერეკეტეთა ბრიგადას ყოველ კვირაში ორჯერ მაინც უხდებოდა ღარების შეკეთება. ეს იწვევდა ხარჯებს, გავლენას ახდენდა ფოლადის ხარისხზე.

და აი რაციონალიზატორებმა სამსხმელო მალის უფროსმა გ. კაკაშაშვილმა და ბრიგადირმა გ. ჩემიამ გულდასმით მოილაპარაკეს ღარების შეკეთებაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების ღონისძიებებზე.

— მდგომარეობის გაუმჯობესების ერთადერთ საშუალებად მიმაჩნია, — უთხრა გ. კაკაშაშვილმა გ. ჩემიას, — ღარების ნაპირის ამოლესვა ნახშირბადიანი მასით.

გ. ჩემია მეგობარს დაეთანხმა და მალე ისინი შეუდგნენ განზრახულის სისრულეში მოყვანას. უკვე წელიწადი გავიდა, რაც მემარტენეები ნახშირბადიანი მასით ამოლესილი ღარების საშუალებით ახდენენ ფოლადის გაშვებას, ხოლო მიღებული ეკონომია 20.000 მანეთს აღემატება.

ნაკლები მნიშვნელობისა როდია რაციონალიზატორული წინადადება, რომელიც ეხება ლითონის ყალიბებში დეტალების ჩამოსხმას. წინათ საფასონსამსხმელო საამქროში დეტალების ჩამოსხმა ხდებოდა მიწის ყალიბებში. ამის უარყოფითი მხარე ის იყო, რომ დეტალის ზედაპირი არ იყო სუფთა, საჭიროებდა დამატებითს დამუშავებას, რაც, ცხადია, ზრდიდა პროდუქციის თვითღირებულებას.

საამქროს ტექნოლოგმა ვ. გურულმა და უფროსმა ოსტატმა ნ. ცარციძემ შემოიტანეს წინადადება მიწის ყალიბების ნაცვლად ლითონის მუდმივი ყალიბების გამოყენების შესახებ. წინადადების გახხორციელების შედეგად სამსხმელო საამქროს ყოველწლიური ეკონომია 14.702 მანეთს აღწევს.

მილსაადიდეო საამქროში ჯერ კიდევ 1960 წელს დაამონტაჟეს ცივად საგლინავი დგანები. ისინი იმდენად არასრულყოფილი აღმოჩნდნენ, რომ შეუძლებელი შეიქმნა მათი გამართულად ამოქმედება. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ დადგა საკითხი დგანების დემონტაჟისა და მათი ღირებულების ქარხნის ძირითადი ფონდებიდან ჩამოწერის შესახებ. მაგრამ რაციონალიზატორთა ერთ ჯგუფს დაეწინა ძვირფასი მოწყობილობის გადაყრა, შეუდგა მის რეკონსტრუქციას, რასაც 7 თვე მოანდომა. ბარშან ეს დგანები უკვე ჩადგნენ მწყობრში და შესანიშნავად ასრულებენ თავის დანიშნულებას.

ამ რაციონალიზატორული წინადადების ავტორები არიან მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს ფოროსი პ. ჩიტაშვილი, დანადგარების უფროსის თანაშემწე ნ. გილაური, ოსტატები ა. შუბინი და ჯ. ჯეჯელავა. ამ ღონისძიების განხორციელებით ქარხანა წლიურად მიიღებს სულ ცოტა 120.027 მანეთ პირობითს ეკონომიას.

1960 წელს ზაფხულის ერთ დღეს, საგლინავი საამქროს უფროსის ბ. ზასლავსკის კაბინეტში თავი მოიყარეს რაციონალიზატორებმა — საამქროს უფროსის მოადგილემ ვ. გახოკიძემ, უფროსმა ოსტატმა გ. ფეშენკომ, ქარხნის ტექნიკური განყოფილების გამგემ ა. ბოროვკოვმა და ქარხნის მთავარმა ინჟინერმა გ. ქურდიანმა. მაშინ ძალზე დაბალი იყო „1000“ და „900“ დგანების წარმადობა. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ შემუშავებულ იქნა წინადადება ორივე დგანზე მცირე გაბარიტის ბლუმსების ნაცვლად გაგლინული ყოფილიყო დიდგაბარიტიანი ბლუმსები.

შეტანილი იქნა მთელი რიგი სხვა ცვლილებებიც, შეიცვალა სქემები, გაუმჯობესება განიცადა ტექნოლოგიურმა პროცესმა.

რაციონალიზატორთა ვარაუდი გამართლდა. ღუმელთა მუშაობა მკვეთრად გაუმჯობესდა და მათი წარმადობის ზრდასთან ერთად შემცირდა ლითონის ხარჯვის კოეფიციენტი, გაუმჯობესდა პროდუქციის ხარის

ნიკო ნიკოლაძის დაბადების 120 წლისთავის გამო

# ხალხის დიდი მსახური



„ჩვენი რაზმის ფალავანი“ — ასე უწოდებდა ილია ჭავჭავაძე თავის ღირსეულ თანამოსაგრეს ნიკო ნიკოლაძეს.

შრომაში დაუღლელი და მტერთან ბრძოლაში გულადი და უშიშარი იყო ქართველ მესამოციანელთა ეს სახელოვანი ბაირახტარი, და სერ. მესხიც ამიტომ წერდა მასზე: „როგორც გალიაში დამწყვდეული ვეფხვი თავის დღეში არ ისვენებს, მოძრაობს, ხან ერთ კედელს შეახტება და ხან მეორეს, სწორედ ისე ნ. ნიკოლაძეც მოუსვენარი, დაუდეგარი კაცია... ბრძოლა ისეთ საჭიროებას შეადგენს მისთვის, როგორც წყალი თევზისათვის“.

ეს სპრძოლო სული ამშვენებდა ნ. ნიკოლაძეს მუდამ, მისი შეგნებული ცხოვრების დასაწყისიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

1843 წელს დაიბადა და 1928. წელს გარდაიცვალა სახელოვანი ქართველი მესამოციანელი. 85 წელს იცოცხლა მან და აქედან შვიდ ათეულ წელს ემსახურა მშობელ ხალხს იმ გასაოცარი თავდადებითა და მგზნებარებით, ურომლისოდაც, თვით პუბლიცისტის შესანიშნავი გამოთქმით, „არავითარი დიდი საქმე ქვეყანაზე არასოდეს არ გაკეთებულა და არც გაკეთდება“.

მძიმე იყო ნ. ნიკოლაძის მიერ ჭაბუკობიდანვე არჩეული სამოღვაწეო გზა, მაგრამ იგი ყოველთვის უშიშრად მიჰყვებოდა მას, რადგან იცოდა, რომ „ცხოვრება ბრძოლაა“ და იგი ადამიანთათვის „უშედეგოდ არ ჩაივლიდა, გზაფხული უეჭველად დადგებოდა და სიცოცხლე გაიმარჯვებდა“.

ოპტიმისტური იყო პუბლიცისტის სოციალური და ფილოსოფიური მსოფლმხედველობა. ოპტიმისტური იყო მისი პატრიოტული გრძნობა, ლიტერატურულ-კრიტიკული შეხედულებანი და უკიდეგანო პრაქტიკული მოღვაწეობა ადამიანთა კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის.

ნ. ნიკოლაძე საქართველოს გასული საუკუნის მეორე ნახევრის იმ მებრძოლი თაობის ერთი მეთაურთაგანი იყო, რომელსაც თვით პუბლიცისტი „ახალ ახალგაზრდობას“ უწოდებდა და რომელიც, მისივე სიტყვებით, ხალხის სამსახურს სთვლიდა თავის უმაღლეს და უწმინდეს მოვალეობად.

მწერალი ხშირად ამბობდა, რომ ხალხის თანაგრძნობის მოსაპოვებლად „საჭიროა იმის ცოდნა, თუ როგორ მოუტანო მას პრაქტიკული სარგებლობა“. ქართველი მესამოციანელი არასოდეს არ ყოფილა ფუჭი მეოცნებე. იგი ყოველთვის მტკიცედ იდგა მიწაზე და ულაღესი ოცნებაც მხოლოდ მაშინ იტაცებდა მის ფიზიზელ გონებას, როდესაც იგი ქვეყნის, ერის, ხალხის რეალური ინტერესების მსახურებას უკავშირდებოდა. ამ თვალსაზრისით ხელმძღვანელობდა პუბლიცისტი, როდესაც იგი თავისუფლებისადმი მომწოდებელ მგზნებარე სტატიებს აქვეყნებდა ქართული და რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული პრესის ფურცლებზე, როდესაც იგი უსმობლად ებრძოდა მეფის მთავრობას, ყველა ჯურის კატკოვებს, ლეონტიევებსა და მეშჩერსკებს, დაუნდობლად ილაშქრებდა შინაური რენეგატების წინააღმდეგ, გატაცებით წერდა ფილოსოფიურ-ეთიკურ ნარკვევებს და ერთდროულად ფოთის ნავსადგურს ან ჯიხაიშის მამულს აშენებდა, რომ კოხტა ქალაქით დაეშვენებინა თავისი ქვეყანა, მოსახლეობაში ათასგვარ უცხო მცენარეთა ნერგი გაეფრცელებინა და გლეხისათვის ინკუბატორის საიდუმლოება ესწავლებინა.

ძველი წყობილების წინააღმდეგ ხალხთან ერთად ბრძოლა მიაჩნდა ნ. ნიკოლაძეს თავის პოლიტიკურ იდეალად და ამიტომ მიესალმა იგი ჩვენს ქვეყანაში რეგოლუციის გამარჯვებას, ხოლო ხალხის ბატონობის დამკვიდრების დღიდან გატაცებით ჩადგა ამ ხალხის სამსახურში.

როგორც ხალხის მსახური, პუბლიცისტი მოითხოვდა, რომ ადამიანთა ფილოსოფიური შეხედულებანიც საზოგადოების ცოცხალ ინტერესებთან, ქვეყნის ყოველდღიურ პრაქტიკულ ამოცანებთან ყოფილიყო დაკავშირებული. ამით იყო გამოწვეული, რომ დიდი ორიგინალობით აღბეჭდილი თავისი ფილოსოფიური აზრები ნ. ნიკოლაძეს საგანგებო ტრაქტატებში კი არ გამოუთქვამს, არამედ გაბნეული აქვს ელვარე პუბლიცისტურ თუ ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებში, ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებს რომ ეხმაურებოდნენ მაშინ.

შემთხვევით არ წერდა ნ. ნიკოლაძე, რომ „საზოგადოება კითხულობს და იმახსოვრებს არა ფილოსოფიურ ტრაქტატებს, არამედ ცოცხალ, მკვირცხლ სტატიებს“, რომ იგი პრესისაგან ბრძოლას მოითხოვს და „ვისაც ხურს გაგებულ და მოსმენილ იქნას, მან საზოგადოების ინტერესებს უნდა გაუწიოს ანგარიში“.

ამ საზოგადოებრივ-პრაქტიკული თვალსაზრისით ზომავდა კრიტიკოსი იმ მოვალეობასაც, რომელიც ქვეყნის ცხოვრებასა და წინსვლაში მწერლობასა და მწერალს აქვს დაკისრებული.

„ლიტერატურის მთავარ ამოცანას ნ. ნიკოლაძე არსებული სინამდვილის ასახვაში, ახსნასა და გაშუქებაში ხედავდა. საზოგადოებრივი ცხოვრების ასახვისა და ახსნისას, ამტკიცებდა იგი, მწერალი უნდა ემყარებოდეს „ხელოვნების უმთავრეს კანონს — ნამდვილთან სისწორეს“, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში იგი უღალატებდა „სიმართლეს, ურომლისოდაც ჭეშმარიტი შემოქმედება და პოეზია არც არსებობს“. ამ ესთეტიკური პრინციპის შესაბამისად წერდა კრიტიკოსი: „ხელოვნური მწერლობის დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ დაუხატოს მკითხველს ხალხის, საზოგადოების ნამდვილი მდგომარეობა, ხასიათი, საჭიროება, დაუხატოს ისე, რომ მკითხველი ამ მდგომარეობის, ხასიათის, საჭიროების ნამდვილ გარემოებებს და თვისებებს ხედავდეს, კარგსა და ავ მხარეს სცნობდეს და თან იმ მიზეზების გაგებაც ჰქონდეს, რომელთაც ესეები დაუბადნიათ“.

დიდი მესამოციანელი ადრიდანვე შენიშნავდა, რომ ხალხი გლეხკაცობაა და ამიტომ ხალხის ცხოვრების „ნამდვილთან სისწორის“ კანონის თანახმად დახატვა მისი გაგებით იმას ნიშნავდა, რომ იმდროინდელ მოწინავე მწერლობას შეუფერავად აესახა „მძარცველობის, ყაჩაღობის, სიყალბისა და დანაშაულობათა დამაკანონებელი“ მონარქიულ-ბატონყმური წყობილების მიერ დაბეჩავებულ მშრომელთა ცხოვრების შემზარავი სურათები და მკითხველში ამ წყობილებისადმი სიძულვილის გრძნობა და ცხოვრების გაუმჯობესებისადმი მისწრაფება აღეძრა. იგი მოითხოვდა, რომ ლიტერატურას ყურადღების ცენტრში თანამედროვეობა დაეყენებინა და მწერალიც უეჭველად „თავისი დროის შვილი“ ყოფილიყო. პუბლიცისტი საჭიროდ სთვლიდა ყურადღების გამახვილებას ნაწარმოების იდეურ მხარეზე, „რადგან — ამბობდა იგი — ჩვენს დროში, როდესაც მკითხველი აზრს თხოულობს, ახალს, მარჯვე, სწორ აზრს და არა ფრაზას, არა სიტყვების სრულიად უმნიშვნელო ჭრიჭინს, ნაწარმოებს ხანგრძლივობას მარტო შინაგანი ძალა, მარტო დედააზრი ანიჭებს“.

ცნობილია, რომ მხატვრული ნაწარმოების „შინაგანი ძალით“ შემაიარაღებელია მწერალი. ამიტომ იგი, „კრიტიკოსის შეხედულებით, „საზოგადოების აღმზრდელი და ხელმძღვანელია“. და რადგან მწერალი „საზოგადოების აღმზრდელი და ხელმძღვანელია“, ამიტომ, ნ. ნიკოლაძის აზრით, ყოველი შემოქმედის საქმიანობის კრიტერიუმს მისი რწმენა, იდეალები, მისწრაფებანი, საზოგადოებრივი მიზნები უნდა შეადგენდნენ. კრიტიკოსის შეხედულებით, რაც უფრო ღრმა და ფაქიზია მწერლის სიყვარული სამშობლოსადმი, რაც უფრო მეტია მისი თავდადება მოწინავე საზოგადოებრივი იდეალებისათვის, მით უფრო მგზნებარე უნდა იყოს იგი თავის შემოქმედებაში და დაუზოგავად სდევნიდეს ადამიანთა განმაიარაღებელი „ნეიტრალობას“, რადგან „როცა ბრძოლაა ატეხილი, როცა ცხოვრება დუღს, ყოველი პატიო'ანი კაცის ვალია ან ერთ რაზმში, ან მეორეში ჩადგეს, როგორც გული, აზრი და მიმართულება ურჩევს მას“.

ამის შესაბამისად იცავდა ნ. ნიკოლაძე ასე თავდადებით მწერლობის ტენდენციურობას, რომელიც მისი სწორი განმარტებით „დარგებასავით პირდაპირ კი არ უნდა გამოითქმოდეს მწერლის მიერ, არამედ თავისთავად უნდა იბადებოდეს მკითხველის გულში, მისგან დახატული სურათის წარმოდგენის დროს“.

ნ. ნიკოლაძის რწმენით მწერლის მოვალეობაა ცხოვრების ასახვა მთელი მისი მრავალფეროვნებით, ერთიანობაში წარმოდგენილი მისი ნათელი და ჩრდილოვანი მხარეებით, რადგან „კაცობრიული საზოგადოება ანგელოზებიდან კი არ არის შემდგარი, ამბობდა იგი, არამედ იმას სხვადასხვა სურვილი, თვისება და საჭიროებანი აქვს და ზოგი ამათგანი კარგია, ზოგი ავი, ზოგი მოსაწონი და ზოგი არა“.

ლიტერატურაში ხალხურობის დამცველი პუბლიცისტისათვის მწერლის შემოქმედების ხრულყოფილება მარტო ცხოვრების ნამდვილი სურათების დახატვას არ მოიცავს. ხალხის ყურადღებისა და სიმპათიის დამსახურებისათვის, მისი აზრით, საჭიროა, რომ ეს შემოქმედება თემატიკურადაც აქტუალური იყოს. „მწერლის ძალა და სიმალლე მარტო მხატვრობის სინამდვილეში კი არა, საგნის ამორჩევაში გამოჩნდება“ — წერდა იგი. მწერალმა კი მუდამ „ისეთი საგნები უნდა ამოირჩიოს — განმარტავდა კრიტიკოსი — რომელთაც რამე ნამდვილი, პრაქტიკული და კეთილი მნიშვნელობა აქვს ჩვენებური საზოგადოებისათვის“.

ნ. ნიკოლაძე ჩვენი ქვეყნის დიდი დემოკრატი და პატრიოტი იყო. ამიტომ იგი მუდამ დაუზოგველად ესხმოდა თავს ქართული კულტურის, მწერლობის, ისტორიის ფალსიფიკატორებს, ყველა სახის ნიჰილისტებს, კოსმოპოლიტებს, რომლებსაც, მისი შენიშვნით, „მწერლობის უმჯობესი და უპატიოსნესი ნაწილი ყოველგან დევნის“.

„საზოგადო სიკეთის დაცვისა და შემატებისათვის“ ბრძოლის იარაღად სთვლიდა ნ. ნიკოლაძე მწერლის სიტყვას. ამ იარაღით ასხმული იბრძოდა იგი მუდამ, როგორც რაინდი უშიშარი და უმწიკვლო, ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის. ამიტომ წერდა „ივერია“ ნიკო ნიკოლაძეზე, რომ „იგი ძლიერი იერიშით მიდის და მუსრს ავლებს ჩვენი ქვეყნის შინაურ თუ გარეშე მტერს“.

მშობელმა ხალხმა ამ თავდადებისათვის შეიყვარა და სამუდამოდ შეინახა თავის გულში ნ. ნიკოლაძის სახელი, სახელი იმ კაცისა, რომელიც ასე წრფელად ეფიცებოდა სამშობლოს, რომ „მე ნიადაგ შენზე ვფიქრობდი და ნიადაგ შენი ერთგული და შენი მსახური ვიყავიო“.

**ვლადიმერ ზამბახიძე.**

## სპლიტის ოლიმპიადაზე

**სპლიტი**, 26 სექტემბერი. (საკდესი). ქალთა მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე სსრ კავშირის გუნდმა ანგარიშით 2:0 დაამარცხა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოჭადრაკე ქალთა გუნდი.

მეოთხე ტურის დანარჩენი შედეგები ასეთია: მონღოლეთი-ამერიკის შეერთებული შტატები 1:0 (ერთი პარტია გადადებულია). ასეთივე შედეგი აღინიშნა რუმინეთი-იუგოსლავიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა-ბულგარეთის მატჩებში. ერთნაირი ანგარიშით 2:0 შოტლანდიელმა მოჭადრაკეებმა დაამარცხეს ბელგიის გუნდი, ხოლო ჰოლანდიის მოჭადრაკეებმა მონაკოს გუნდი. სხვა მატჩების პარტიები გადაიდო.

მეოთხე ტურის შემდეგ ლიდერები არიან საბჭოთა მოჭადრაკე ქალები. მათ 8 შესაძლებლიდან 7 ქულა დააგროვეს.

## „იმერეთი“ თასზე ბრძოლას მანავრძლობს

**ქუთაისი.** (საკ. კორ.). გუშინ აქ გაიმართა მორიგი შეხვედრა სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში ძირეულ კოლექტივებს შორის.

ადგილობრივმა „იმერეთმა“ მიიღო აშხაბადის „პოგრანიჩნიკი“. მატჩი მოიგეს მასპინძლებმა — 5:0.

ამრიგად „იმერეთი“ განაგრძობს ბრძოლას თასზე.

## პირველი პრიზი — ვ. კორჩნოის

**ალმა-ათა.** (ინ. ინფორმ.). დამთავრდა კაპაბლანკას ხსოვნის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც სსრ კავშირის ჩემპიონმა ლენინგრადელმა გროსმაისტერმა ვიქტორ კორჩნოიმ მოიპოვა პირველი პრიზი— 16,5 ქულა 21 შესაძლებელში. მეორე, მესამე და მეოთხე ადგილები გაიყვეს მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მიხეილ ტალმა (ლატვია), გროსმაისტერებმა ეფიმ გელერმა (უკრაინა) და ლუდეკ პახმანმა (ჩეხოსლოვაკია) — 16-16 ქულა.

## ზრეკის ახალი რეკორდი

ვერც ერთხელ ვერ შეძლეს სხვა ქვეყნის სპორტსმენებმა ჩვენი საუკეთესო მოტომრბოლისათვის ი. პლეხანოვისათვის, რომელიც მონაწილეობდა ჩეხოსლოვაკიის ქალაქ პარდუბიცეში გამართულ საერთაშორისო წიდოვან ბილიეზე. მოტორბოლაში. უფლმა სპორტსმენმა ქულათა მაქსიმუმი მოაგროვა, პირველი ადგილი დაიკავა და დაამყარა ტრეკის ახალი რეკორდი. (საკდესი).

## მატჩი რუსთავში

**გუშინ** რუსთავში გაიმართა „ბ“ კლასის მოკაგშირე რესპუბლიკების პირველი ზონის ფეხბურთელთა ასპარეზობის ცენტრალური მატჩი. ერთმანეთს შეხვდა პირველი ადგილის'ორი პრეტენდენტი — კიროვაბადის „დინამო“ და რუსთავის „მეტალურგი“.

თამაშის პირველი ნახევარი მიმდინარეობდა მეტად მძაფრ ბრძოლაში. ანგარიში გახსნეს კიროვაბადელებმა. ამ მარცხს „მეტალურგმა“, რომელიც მესუსტებული შემადგენლობით თამაშობდა, მედგარი შეტევით უპასუხა. 44-ე წუთზე რუსთაველებმა გაათანაბრეს ანგარიში.

მეორე ნახევარში ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა. 63-ე წუთზე აზერბაიჯანელმა ფეხბურთელებმა კიდევ ერთი ბურთი გაიტანეს მეტოქეთა კარში და მოიგეს მატჩი ანგარიშით 2:1.

ამ მნიშვნელოვანი გამარჯვების შემდეგ კიროვაბადის „დინამო“ მტკიცედ ლიდერობს შეჯიბრებებს, ხოლო რუსთავის „მეტალურგმა“ ფაქტიურად დაკარგა პირველი ადგილისათვის ბრძოლის შესაძლებლობა. ახლა დიდი მნიშვნელობა ექნება კიროვაბადის „დინამოსს“ და ბათუმის „დინამოს“ შეხვედრას, რომელიც 1 ოქტომბერს გაიმართება კიროვაბადში.

## ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

## ლიტველები ეცნობიან საქართველოს ხელოვნებას

ვილნიუსი. (საკდესის კორ.). საბჭოთა ხალხების მეგობრობის დღესასწაულად იქცა ქართველი მხატვრების ნაწარმოებთა გამოფენის გახსნა ლიტვაში. ვილნიუსში, ვერნისაგზე, სადაც მოწყობილია გამოფენა, ბევრი მნახველი შეიკრიბა.

ლიტვის სსრ კულტურის მინისტრმა ი. ბანაიტისმა და საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა თ. ბუაჩიძემ წარმოთქვეს სიტყვები, რომლებშიც ხაზი გაუსვეს, რომ გამოფენა უეჭველად ხელს შეუწყობს ქართველი და ლიტველი ხალხების კულტურათა კიდევ უფრო მჭიდრო დაახლოებას, ხელს შეუწყობს მათი ძმური კავშირის შემდგომ განვითარებას.

ლიტველები პირველად ეცნობიან ქართველ მხატვართა ხელოვნებას. ეს არის გაცვლითი გამოფენა. იგი მოეწყო ლიტვის ეროფიკისა და წიგნის გამოფენის საპასუხოდ, რომელიც მიმდინარე წლის მაისში იყო თბილისში.

— საბჭოთა საქართველოს საზოგადოებრიობა გულთბილად ეხმაურება ლიტვის ექსპოზიციას, — თქვა მხატვარმა კ. ჭანკვეტაძემ. ამიტომ ჩვენ მიზნად დავისახეთ მადლობა გადაგუხადოთ ლიტველ ხალხს და ვუჩვენოთ მათ ჩვენი მშიური მხარის ხელოვნება, ჩვენი ნაწარმოებთან გავაცნოთ საქართველოს რესპუბლიკის ცხოვრება.

ვილნიუსის სახელმწიფო სამხატვრო მუზეუმის ვრცელი დარბაზები, სადაც მოთავსებულია ექსპოზიცია, თითქოს გაცისკროვნებულია მცხუნვარე მზით, გაჟღენთილია მთის ჰაერით. რასაც აფრქვევენ ე. ახვლედიანის, ე. ბერძენიშვილის, მ. ხვიტიას პეიზაჟები. ფერთა სიუხვით განირჩევიან ლ. ძაძამიძისა და ჯ. ხუნდაძის ტილოები. დიდხანს ჩერდება მაყურებელი სსრ კავშირის სახალხო მხატვრის უ. ჯაფარიძის, საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის ლ. გუდიაშვილის, საქართველოს ერთ-ერთი უხუცესი მოქანდაკის ხ. კალდეღაკის ნამუშევრეთის წინ. მათ ნაწარმოებებს ექსპოზიციაში საპატიო ადგილი უჭირავთ.

## „საქართველოს კომუნისტი“ № 9

**გამოვიდა** საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალი **„საქართველოს კომუნისტი“ № 9.**

ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი მასალები: **მოწინავე** — სოფლის მეურნეობის განუხრელი განვითარების ათი წელი; **ა. ავალიანი** — მოსკოვის ხელშეკრულების დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა; **ხ. ლარცულიანი** — სოციალისტურიდან კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებისა და დამკვიდრების კანონზომიერების შეკავშირებულ ზოგიერთ საკითხებზე; **მ. ლელაშვილი** — პროფკავშირთა აღმზრდელობითი ფუნქციის შემდგომი გაძლიერებისათვის; **მ. გოგიჩაიშვილი** — მასების შრომითი აღზრდა იდეოლოგიური მუშაობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა; **ნ. ჩერქეზიშვილი** — მაღალ დონეზე მოვაწყოთ მუშაობა პოლიტიკური განათლების სისტემაში.

ნომერში არის პარტიული ცხოვრების ამსახველი მასალები, კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილება და პარტიული ქრონიკა.

**მოახლოვდა** საკავშირო საფეხბურთო ჩემპიონატის ვადამწყვეტი დღეები,

მაგრამ ამ „შინაურ ასპარეზობაში“ თანდათან ჩრდილავს უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პაექრობა, ევროპის თასის მეორე გათამაშება, რომელიც მომავალი წლის ზაფხულამდე იქნება ფეხბურთის მილიონობით გულშემატკივართა ყურადღების ცენტრში.

ახლა მიმდინარეობს ამ შეჯიბრების მეორე ეტაპი — მერვედფინალური მატჩები. გავიხსენოთ, რა მოხდა გათამაშების პირველ ეტაპზე.

დებულების თანახმად, თასის მფლობელი საბჭოთა კავშირის ნაკრები პირველი შეხვედრებისაგან განთავისუფლებულ იქნა. წილისყრამ ასეთივე უპირატესობა მიანიჭა ავსტრიისა და ლუქსემბურგის ნაკრებებს, ხოლო დანარჩენი გუნდები ერთმანეთს შეხვდნენ მეთექვსმეტედფინალში. აი ამ შეხვედრათა შედეგები—ესპანეთი-რუმინეთი 6:0, 1:3, ჩრდ. ირლანდია-პოლონეთი 2:0, 2:0, დანია-მალტა 6:1, 3:1, ირლანდია-ისლანდია 4:2, 1:1, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა-ჩეხოსლოვაკია 2:1, 1:1, უნგრეთი-უელსი 3:1, 1:1, იტალია-თურქეთი 6:0, 1:0, ჰოლანდია-შვეიცარია 3:1, 1:1, შვეიცია-ნორვეგია 2:0, 1:1, იუგოსლავია-ბელგია 3:2, 1:0, ბულგარეთი-პორტუგალია 3:1, 1:3, 1:0, საფრანგეთი-ინგლისი 1:2, 1:1.

რა შეიძლება ითქვას ამ თამაშების შესახებ?! დიდი მოულოდნელობა იყო ჩეხოსლოვაკიელთა დამარცხება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებთან და ინგლისელებისა — ფრანგებთან.

## ფიშერის გამარჯვება

**ის** ამბავი, რომ ამერიკის უძლიერესი გროსმაისტერი რ. ფიშერი მონაწილეობას მიიღებდა დასავლეთი შტატების ჩემპიონატში, მხოლოდ ასპარეზობის დაწყების წინ გახდა ცნობილი. უკვე იანვიდან მოყოლებული, ფიშერს არსად უთამაშნია, ამიტომ მისმა მონაწილეობამ პაექრობაში საკმაო ინტერესი გამოიწვია.

გროსმაისტერმა გაამართლა თავისი რეპუტაცია. მან 8 შესაძლებლიდან 7,5 ქულა მოაგროვა და ასპარეზობაში პირველი ადგილი დაიკავა. მას მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩნენ საერთაშორისო ოსტატი რ. ბირნი და ოსტატი ა. პოპილი.

ფიშერს გარდა, ამ შეჯიბრებაში არ მონაწილეობდა არცერთი სხვა ამერიკელი გროსმაისტერი.

## ფინალისტი სტოვებს პაექრობას

### ევროპის თასის მეორე გათამაშება

საუცხოო თამაში აჩვენეს იტალიელებმა თურქეთის საკმაოდ ძლიერ გუნდთან.

მეთექვსმეტედფინალური მატჩების შემდეგ ევროპის ფეხბურთის ფედერაციამ ხელახლა მოახდინა წილისყრა, რომელმაც ფრიად მოულოდნელი შედეგები მოგვცა. მაშინ როცა ერთი მხრივ სპორტულმა „ბედმა“ ერთმანეთს შეახვედრა რამდენიმე საკმაოდ სუსტი კოლექტივი, მეორე მხრივ ახლავე უნდა შეებან ერთმანეთს კონტინენტზე უძლიერესად მიჩნეული გუნდები: თასის მფლობელი საბჭოთა კავშირის ნაკრები და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი „სკუადრა აძურა“ — იტალიის ნაკრები. ეს არის ნამდვილი „ფინალი მერვედფინალში“, რომელზეც ახლა სტატუკას არ გავაგრძელებთ, რადგან იგი ცალკე განხილვის საგანია.

გარკვეულ ინტერესს იწვევს დანარჩენი მერვედფინალური შეხვედრებიც. ესპანელებმა თავიანთ მოედანზე ფრედ ითამაშეს (1:1) ჩრდ. ირლანდიის გუნდთან და ახლა საპასუხო მატჩში ბელფასტში (30 ოქტომბერს) ძნელი პრობლემის წინაშე დგანან. ასევე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ იუგოსლავიელები, რომლებმაც, როგორც ცნობილია, თასის პირველ გათამაშებაში მეორე საპრიზო ადგილი დაიკავეს. იუგოსლავიელებმა პირველი მატჩი ბელგრადში ფრედ (0:0) დაამთავრეს შვედებთან, ხოლო მეორედ ითამაშეს სტოკჰოლმში. იუგოსლავიელები მეტად სერიოზულად ემზადებოდნენ ამ მატჩისათვის. იუგოსლავიელები მაინც დამარცხდნენ (2:3) წილისყრამ ისევ შეახვედრა ერთმანეთს ძველი მეტოქეები ბულგარელები და ფრანგები (29 სექტემბერს სოფიაში და 27 ოქტომბერს პარიზში). ფრანგები მსოფლიოს უკანასკნელ ჩემპიონატში სწორედ ბულგარელებთან მარცხის გამო ვერ მოხვდნენ და ახლა რევანშისათვის ემზადებიან. საყურადღებოა, რომ ფრანგების ნაკრების მწვრთნელად ეს-ს არის დაინიშნა წარსულში პოპულარული ფეხბურთელი ფონტენი.

დანარჩენი შეხვედრებიდან დიდ ინტერესს იწვევს უნგრეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდების შეხვედრა (20 ოქტომბერს ბერლინში და 3 ნოემბერს ბუდაპეშტში). დანიელებმა ერთხელ უკვე დაამარცხეს ალბანელები (4:0) და საპასუხო შეხვედრაში (ტირანა, 30 ოქტომბერი) რევანშს არ აპირებს მოსალოდნელი. მოელინ, რომ ავსტრიელები სძლევენ ირლანდიელებს (29 სექტემბერს ვენაში და 13 ოქტომბერს დუბლინში). ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის გუნდების ორივე შეხვედრა წინასწარი შეთანხმებით დაინიშნა ჰოლანდიის სტადიონებზე. როტერდამში მატჩი ფრედ (1:1) დამთავრდა, ხოლო 11 ოქტომბერს გუნდები ხელახლა შეხვდებიან ერთმანეთს ამსტერდამში. აქ მოსალოდნელია ჰოლანდიელთა მოგება.

მაგრამ ყველა ეს მატჩი მაინც ნაკლები მნიშვნელობისაა საბჭოთა კავშირისა და იტალიის გუნდების ორ შეხვედრასთან შედარებით. პირველი მატჩი, როგორც ცნობილია, დანიშნულია მოსკოვში 13 ოქტომბერს, ხოლო მეორე რომში 10 ნოემბერს.

## გერმანელი მწერალი სტუმრად თბილისში

**საბჭოთა** კავშირში სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მოწვეევით თვეზე მეტია უსუმრად არის გერმანიის კომუნისტური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწე, ცნობილი მწერალი, ეროვნული პრემიის ლაურეატი ვერნერ ეგერატი მეუღლითურთ.

ათ წელზე მეტი გაატარა ვერნერ ეგერატმა ფაშისტური საპყრობილეების ღილგებში. 1945 წლიდან დაწყებული იგი პასუხსაგებ პარტიულ მუშაობას ეწეოდა — მუშაობდა ტიურინგიის კომუნისტური პარტიის პირველ მდივნად, ამ ოლქის სახელმწიფო მდივნად, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პირველ ელჩად რუმინეთში, რესპუბლიკის რელიგიის საკითხთა სახელმწიფო მდივნად. ამჟამად იგი პენსიაზეა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მწერალთა კავშირის პარტიული ორგანიზაციის მდივანია.

ვერნერ ეგერატი გერმანიის ერთ-ერთი წამყვანი თანამედროვე მწერალია. მისი ნაწარმოებები ბევრ ევროპულ ენაზეა თარგმნილი. საბჭოთა კავშირში რუსულ ენაზე დიდი ტირაჟით გამოიცა მისი რომანი „კატასტროფა“. რუსულად თარგმნება და მალე დაიბეჭდება მისი მეორე წიგნი „კაზაკების გენერალი“. ვერნერ ეგერატი ბევრი რომანისა და მოთხრობის ავტორია, რომელთა უმრავლესობა ეძღვნება გერმანელი ხალხის ბრძოლას ფაშიზმის წინააღმდეგ, ეროვნული განთავისუფლებისათვის, პროგრესისათვის. 1961 წელს რომანისათვის „კატასტროფა“ ეგერატს ეროვნული პრემია მიენიჭა.

24 სექტემბერს გერმანელი მწერალი თბილისში ჩამოვიდა. ამჯერად იგი მეორედ ჩამოდის ჩვენს რესპუბლიკაში. პირველად იგი 1949 წელს ჩამოვიდა, როცა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის დელეგაციასთან ერთად საბჭოთა კავშირში იმყოფებოდა. სტუმრ ე ბ მ ა დაათვალიერეს რესპუბლიკის დედაქალ ა ქ ი ს ღირსშესანიშნობანი, ეწვივნენ საწარმოებს, გაემგზავრნენ საქართველოს ძველ დედაქალაქში — მცხეთაში. ეგერატი და მისი მეუღლე რამდენიმე დღეს დაჰყოფენ ჩვენს რესპუბლიკაში. (საკდესი).

## „ახალი ალბანეთი“ № 9

**ტირანა.** (ინ. ინფორმ.). ალბანეთის ენაზე ტირანაში გამოიცა ჟურნალ „ახალი ალბანეთის“ ახალი ნომერი.

ჟურნალში ბეჭდავენ ალბანეთის ეროვნული ბანკის ბანკნოტებზე ალბანეთის ისტორიული ადგილების, ალბანეთის ეროვნული ბანკის ბანკნოტებზე ალბანეთის ეროვნული ბანკის ბანკნოტებზე ალბანეთის ეროვნული ბანკის ბანკნოტებზე